

გეორგიული სასართავალი

ქართული ეროვნული საგზონო ორგანო

„LA GEORGIE COMBATTANTE“

PRIX: 50 F.

MENSUEL

N° 15

ივლისი — 1953 — JUILLET

N° 15

შინაარსი:

ერთი მითის დასასრული.

კ. გვარჯალაძე — მერის კლიკვიდაცია.

გრ; ურატაძე — საქართველოს კომუნისტურ პარტიაში

ვალ. — ღია წერილი X-ს.

ალ. შათირიშვილი — პიროვნების თავისფლება.

თამარა პაპავა — ქართველი ქალი ჩვენს მატია-ნეში.

აკ. პაპავა — ექვთიმე ფუქემდებელი.

მ. დ - ძე — ახალი ლოზუნგი.

დ. საღირაშვილი — გაუგონარი საქციელი.

რეზოლიუცია (მიუნხენიდან).

ქართული ახალი თაობის დემოკრატიული ორგანიზაციის განცხადება.

ნოე ყორდანას ექვსი: თვისთავი.

ქრონიკა.

ერთი მითის დასასრული

ვერც ერთი თანამედროვე, რა გინდ მტრულად არ უნდა იყოს განწყობილი ბოლშევიზმის მიმართ, ვერ შესძლებს ამ უკანასკნელის სიბოროტის გადაჭარბებულ გადმოცემას. დანტეს განუსაზღვრელი ფანტაზიასაც არ ძალუძს ჩვენი დროის ამ კაზიმოდის იმაზე მახინჯათ ასახვა, ვიდრე იგი სინამდვილეში გვევლინება. ის, რაც ბუნებრივი და აუცილებელია საბჭოების სამეფოში, სახტად სტოვეტს და საგონებელში აგდება გარემო საზოგადოებას. ბერიას „გაწმენდა“ ერთი ეპიზოდია მოვლენათა ბოლშევიკური განვითარების, იგი ტირანის შინაგანი გახრწნის ლოლიკური დაბოლაგებაა.

მისი სახით, კიდევ ერთი მეტეორი მოსწყდა საბჭოთა ხალხებს; განშორდა უმზეკავსო რეჟიმის წილში დანთხელი შხამით მოწამლული და განადგურებული. მერისა გადაყირავება მოულოდნელი ამბავი არაა. ასეთი ბოლო კრემლის ტირანებს ჩვენ არა ერთხელ ვუწინასწარმეტყველეთ. ვინც ბოლშევიზმის ბუნებას და მის შინაგანვითარების ეტაპებს იცნობს, ის რასაკვი-

რელოა, ამას დიდ დამსახურებათ არ ჩავვითვლის. ტირანები, საერთოდ, დიდი თუ პატარა, გარდაუვალი აუცილებლობით ვარდებიან მათ მიერ წინასწარ გამზადებულ საფლავებში: ასე იყო ძველად, ასეა დღესაც. მართალია, რუსეთში ამ საერთო წესში ბევრი შესწორება შეიტანა: იქ ისინი უფრო ხანგრძლივად თარეშობენ, გაცილებით მეტ განადგურებას და გარყვნილებას იწყებენ. საფრანგეთში, ამ ორი საუკუნის წინ ერთი ტერმინი იქმნა; რუსეთში კი მერე დაიწყო და, თუმცა დესპოტია სულს დაფავს, მაინც არ იცის კაცმა კიდევ რამდენი მოულოდნელობის მოწამენი გავხდებით, სანამ მისი მყარალი ლეწი საბოლოოდ ჯოჯოხეთის ცეცხლში გავხვეოდეს.

საბჭოთურმა ტერორმა ბერია ამოატივტივა, როგორც ქართველი ერის დაუნდობელი მცეხოვნი. მის მოღვაწეობამ შეისხა ფრთები „უცლონისტების“ შეუბრალებელ დარბევაში, რომლის მსხვერპლი, ამ უღლეურ მოძრაობასთან ერთად, გახდენ ჩვენი საუკეთესო ძალები. მან

საქართველოს
საგარეო
მინისტროს
საქმიანობის
აქტიურობის
აქტიურობის
აქტიურობის

საბჭოთა სისტემაში ჰპოვა თავისი ელემენტი, მიიღწია ნაზღვიო ხელობა შესანიშნავი პოლიციელისა. სამართლიანობა მოითხოვს აღინიშნოს, რომ ის სიტყვის კაცაც აღმოჩნდა. ის საქართველოს მიწას დაჰპირდა ბოლშევიკური სახნისით გადახანას ყველა შიმშილსა და სიღატაკით. ეს დაპირება მან პირწმინდათ შესარულა. მისმა მასწავლებელმა ჯულაშვილმა იგი სწორედ ამ „მუშაობის“ პროცესში აღმოაჩინა და მთელ საბჭოთა კავშირში ეჭოვის შემკვიდრება ჩააბარა.

ყოველი ჯურის ტირანს, როგორც თევზს წყალი, ისე სჭირდება თავის უკვდავსაყოფი მითოსის თუ ლეგენდების შექმნა. ასეთი მითოსის საგანი გახდა ბერიაც, როგორც ბოლშევიზმის ერთგული პოლიციელი. ამ მოვალეობის შესრულებაში მას არც თავისი ენერჯია და გამოცდილება დაუზოგავს, არც ქართველი ხალხი. მან შუბლზე მიიკრა მრავალი დროთა და სივრცით განსაზღვრული ეპითეტი, რადგან უფრო ზოგად და საყოველთაო ხანაიათის ორქოლს „მამა“ ისაკუთრებდა სანამ ცოცხალი იყო.

ფრანგები ამბობენ — სამყაროს მთლიანობას ყოველგვარი ელემენტი ემსახურება, როგორც კეთილი, ისე ბოროტი. ჯულაშვილისა და ბერიას მოვლინება ქართულ სინამდვილეში ამ პრინციპის გამართლება იქნდა ჩაითვალოს. სიბოროტეც ბუნებრივი მოვლენაა საზოგადოების განვითარების პროცესში. ასეთები მუდამ იბადებიან, მაგრამ საზოგადოებრივი კონტრაქტის სიძლიერე უკრძალავს მათ თავიანთ ინსტიტუტის გაშლა-გაფართოებას. უნდა ვიფიქროთ, რომ ეს ასე იყო ჩვენშიდაც, მაგრამ უცხო ძალის ჩარევამ მათ წელი გაუშავრა და ერის ბედი ჩააბარა. ეს გარემოებაც ბევრს ლაპარაკობს იმაზე თუ რა შეუღრვივებლობა არსებობს ქართულ და რუსულ საზოგადოებრივ ეთიკას შორის. არა მკითხვე „მზრუნველები“ ყველგან იბადებიან, მაგრამ მათი საქმიანობის გამოჩენას შესატყვისი პირობები სჭირდება და ეს პირობები შექმნეს წითელ რუსეთის ხიშტებმა. დამპყრობელმა გადაიღო და გამოიყენა ბერია, სანამ ეს მისთვის საჭირო და ხელსაყრელი იყო, დასცა და მიწასთან გაასწორა, როცა მისი თავის შენახვის ინტერესი ამას მოითხოვდა.

გაქრა ბერიას მითი. მან ყველაფერი ჰქნა ბოლშევიკური მხეცის გაასუქებლად. ორხელ გადაჯრჩა მის სისხლიან მადას: ჯერ „მამის“ დახმარებით, შემდეგ — თვით „მამის“ ლიკვიდა-

ციით. ღმერთი კი სამებითაა, უკონკურენტო დიქტატორის გაქრობის შემდეგ იგი დარჩა მართოდ, პირის-პირ მტრულად განწყობილ შეგირდებთან, რომელთაც რუსული თავმოყვარეობაც უკარნახებდა იროვნულად უცხო მტოქის თავიდან მოცილებას. ამიტომ, გაება იგი მისი მიერ დაგებულ მახეში და წააგო თავი თავისი 30 წლის „მოღვაწეობის“ განმავლობაში მან დაამყარა და გააბატონა თავისებური სამართალი და საგამომძიებლო სისტემა. ამავე სისტემით შეეცდებიან მისი „მეგობრები“ მის გამოტეხას და საშავალით დასჯას. საერთოდ, ჩეკისტები ნაღალი და სულმდაბალი არსებაა და უნდა იფიქროთ, რომ სწორედ ამ გარემოებამ შეუშალა მას ხელი უკანასკნელი გადაწყვეტილების მიღებაში. მან ალბათ იცოდა, რა ბედს უშახლებდნენ, მაგრამ ვერ მოასწრო მტერ-მეგობართა ლიკვიდაცა, ვერ შეარჩია ნომენტი, დაიგვიანა. ის, იმედ მოშლილი, დასტირის ბედის უშადურობას მისივე ჩეკას ცივ სარდაფში, რომელშიდაც უღმერთო ტანჯვით დასრულდა უთვალავ მებრძოლთა სიცოცხლე. ისინი, კომუნისტების გამოკლებით, ბერიას ჩეკისტების სადისტურ ხერხებს, ხედებოდნენ ამაყთ, ვაჟკაცურად. წმინდა იდეალით გამაგრებულნი, ხალხის და ერის სიყვარულით აღტყინებულნი. ბერიას არ რჩება არავითარი ნუგეში. მას თავს დასტრიალებს უმწირობის და მარტოობის ალტანელი ატმოსფერო.

ამ სამი ათეული წლების მანძილზე, მთელი კატორხობა მოწამევა კრემლის კედლებში შინაანგარიშებსა გასწორების სენსაციურ სცენების. აშკარა იყო, რომ დიქტატორის გაქრობის შემდეგ, შოვინისტურ, დერეჟიმორდულ ნიადაგზე აღზრდილი შეგირდები, ბერიას, როგორც ქართველს, არ მოითმენდნენ. მიუხედავად მისი ერთგულობისა რეჟიმის მიმართ, რომელმაც შექმნა საბჭოთა იმპერიის სიძლიერე, ის მაინც უცხო ელემენტს წარმოადგენდა, რომელსაც დიდი რუსეთის ნოტრფილიენი ატავისტური უნდობლობით უცქეროდნენ. მათთვის ბერიას სახელს ალტანელს ხდიდა ის გარემოებაც, რომ მან მარშლის კვირთხი მოისაკუთრა. ჩვეულებრივად, ასეთი წარმატება ეძლევა სარდალს, ბრძოლის ველზე რომ შესანიშნავი ინციპიტის უნარი და სტრატეგიის ნიჭი გამოიჩინა. ბერიამ, ეს ღირსებები დაამტკიცა შინაურ ფრონტზე, მან დაიპყრო მშვიდობიანი მოსახლეობა და ხელი შეუწყო საკუთარი ერის მონობის კე-



დღეებში ჩაკირვას, მაგრამ ამისათვის მისწრაფებას როდღი იძლევიან. ვასაგებები და ცხადი იყო, რომ ტირანულ რეჟიმში აღზრდილი მოვიინისტრული მხედრობა საპატიო ზარისხის ასეთ პროფანაცის არ მითმენდა. ჯარის უშუალო მონაწილეობით გააუბედურეს იგი მისმა მეგობრებმა. მოსკოვის მრავალთავიან მხეცს მოსწყდა ერთი თავი და გადაფარდა სანაგვე ყუთში. იგი მრავალ სხვას კიდევ მოვილის, რომ ვაივსოა და ხალხის მიერ შორს იქნეს გადათრეული.

ჩვენ არ ვგაფიქრებს ჩეკისტების სისხლიანი დოლი და ერთმანეთის ყლეტა. პირიქით, ეს მოვლენა დადებითია იმდენად, რამდენადაც იგი რეჟიმის გაქრობის მომასწავებელია და ჩაგრულ ხალხს ანთავისუფლებს მომავალში ამ ნაგავის გადახეტის მძიმე მოვალეობიდან, მაგრამ მაგარი ისაა, რომ ამ შეჯიბრში უდანაშაულო ხალხი ნადგურდება. ყოველი ასეთი „წმენდა“ ხდება ტერორისა და ყლეტის ახალ-ახალ საბაბათ.

ჯუღაშვილი - ბერიას მოღვაწეობაში განუზომელი ზიანი მიაცენა ქართველი ერის წმინდა სახელს, თავი რომ დავანებოთ ფიზიკურ ზარალს და ეროვნული თავისუფლების უცხო ძალით განადგურებას. მან გადაგვიტოვა მეზობლები, და გაძლიერა ველიკოროსული მოვიინიზმი და გაუტანალობა. ზომა - დაკარგული, გაბოროტებულ, დროებით დარჩენილი ტირანები, ექვს ვარემეა შეეცდებიან ანტიერონული რბევის ფაღრმაგებას. საქართველოში, უკრაინაში, ბალტიის ქვეყნებში რუსიფიკაციის გაძლიერების ნიშნები უკვე სჩანს. თუ წინათ, თავისი განდიდების უზრუნველსაყოფად, ბერია ტფილისში თავისი ადგილობრივი მომხრეების წამოწევას უწყობდა ხელს, ამის არა პირდაპირი შედეგი ის მაინც იყო, რომ ქართველი ელემენტები ბატონდებოდა, და მიუხედავად წითელი ოკუპაციისა, საქართველო თავის სახეს ინახავდა. მოსკოვი

შეეცდება ეს შესაძლებლობა აღკვეთოს და სასჯოთა ადამიანის უსახო ტიპის შექმნა დააქროს. აი, რა სამსახური გაუწიეს ჩვენს ქვეყანას მისმა ულირსმა შევილებმა. ამ გარემოებამ უნდა ჩააფიქროს ქართველი კომუნისტები, თუ ისინი დიდხანს ფიქრობდენ, რომ მის მიერ არჩეული გზით, სერია ქართულ საქმეს ემსახურებოდა. მიუხედავად ყველაფრისა, დღეს ისინი ამ საბედისწერო შეცდომიდან უნდა განთავისუფლდენ. ბრმათათვისაც აშკარადდება, რომ დამპყრობი ძალით, ეროვნულ საქმეს ვერ გააყეთებ, საკუთარ ხალხს ვერ ემსახურები. ტირანისა დღეები დათვლილია. ვასფორებულმა „ციემა ომმა“ იგი უნდა დაანგროს. დღეს პარტიის წევრთა ფიზიკური არსებობა გადაჯაჭვულია ერის განთავისუფლების საქმეზე. კრემლის კედელი ილევება მის მობინადრეთა სამკედრო-სასიციოცხოო ჭიდილში. იქიდან გასკვევით მოისმის მომსკედავ ტირანთა საზარელი ზრისალი, რომელსაც ველის სიმღერასთან ის კავშირი აქვს, რომ იგი უკანასკნელია. ქართველმა კომუნისტებმა აქიდან უნდა გამოიტანონ შესატყვისი დასკვნა. ბოლშევიზმის აგონიის დროს, მათ შეუძლიათ ერი-სათვის დიდი სამსახურის გაწევა. მართალია, ბერმა მათგანმა ჩვენი ხალხის ზიზღვი და რისხვა დაიმსახურა, მაგრამ ქართველმა ერმა იცის სამსახურის დაფასება და დანაშაულის პატიებაც.

ბერიას გაქრობა არ ნიშნავს საბჭოების საერთო პოლიტიკის შეცვლას ან შემობრუნებას. საქმის არ მცოდნე მკითხავეები ტყვილად იწუხებენ თავს. ის მხოლოდ და მხოლოდ ნიშნავს ტირანის განკითხვის საათის მოახლოებას. სერია დასცა რეჟიმის დანაშაულთა სიმძიმეზე. მის გზას ვაპყვებთან მისი დღევანდელი მეციხოვნენი. ისინი ყველა ვაპყვებთან, ხოლო მათი სახელი დარჩება კომმარული მოვონების საგნათ ლეკუნითი უკუნისამდე.

ბ ე რ ი ა ს ლ ი კ ვ ი ლ ა ც ი ა

მოხდა ის, რაც მოსალოდნელი იყო და რაც უნდა მომხდარიყო: სტალინის - მემკვიდრეთა შორის დიდი შეტლია ჩამოვარდნილი და დაუნდობელი ბრძოლაა გამართული. ჯერ - ჯერობით მალენკოვ-ბერია-მოლოტოვის ტრიუმფირატიდან ბერიას ელიმინაციას აქვს ადგილი. ვასული ივლისის ათს საბჭოთა კომუნისტური

პარტიის ცენტრალური ორგანო, „პრავდა“ იძლევა ცნობას, რომლის მიხედვით პარტიის ცენტრალურ კომიტეტის პლენუმს მოუხმენია მალენკოვის მოხსენება ბერიას ბოროტ-მოქმედების შესახებ; ამ ცნობით ბერიას ბოროტ-მოქმედება მიმართულია პარტიის და სახელმწიფოს წინააღმდეგ: მას მიზნათ ჰქონია საბჭოთა სახე-



ლმწიფოს ძირის გამოთხროსა უცხო კაპიტალის სასარგებლოთ და საშინაო სამინისტროს გაბატონება მთავრობაზე და კონუნისტურ პარტიასზე. ცენტრალური კომიტეტის დადგენილებით ბერია გარიცხულია პარტიის რიგებიდან და გამოცხადებულია კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა ხალხის მტრათ. ამავდღეს გამოქვეყნდა საბჭოთა მთავრობის ცნობაც: ბერია გადაყვებულია მთავრობის შემადგენლობიდან და მისი ბოროტ-მოქმედება განსახილველად გადაცემულია უმაღლეს სასამართლოსადმი.

ბერიას მდგომარეობა საბჭოთა კავშირში მეტად თავალსაჩინო იყო. 1938 წლიდან ის საშინაო საქმეთა სამინისტროს ხელმძღვანელია. დიდი ომის დროს კი ის მთელი სახელმწიფოს უზრუნველყოფის მთავარი კომისარია და სტალინთან, მოლოტოვთან, მალენკოვთან და ტიმოშენკოსთან ერთად ხუთწევრიან თავდაცვის კომიტეტში შედის. ის იყო მთავრობის თავმჯდომარის პირველი ამხანაგი, პარტიის პრეზიდიუმის და პოლიტბიუროს წევრი. მის კონტროლის ქვეშ იმყოფებოდა მთელი პოლიცია და რეგულაციური ჯარი, სადაც მას თავალყურის სადგენად ჩაყენებული ყავდა მისი აგენტები. ის კონტროლს უწყვედა აგრეთვე რუსეთის მთელ წარმოებას, იარაღის დამზადებას, თუ მის ჯარებისათვის დარიგებას და განაწილებას. საბჭოთა ტერიტორიის სხვადასხვა კუთხეში ის ხსნიდა საკონცენტრაციო მანაკებს და იქ მილიონობით აგზავნიდა პოლიტიკურ, თუ პისხლის სამართლის ტყვეებს. მის განკარგულებაში იყო ნახევარი მილიონიანი სპეციალური ჯარი, შეიარაღებული ავიაციით, ზარბაზნებით და ტანკებით. ბერიას უწყება წარმოადგენდა კომუნისტური პარტიის დიდი მნიშვნელობის ძალას. ყველაფერი ეს ქმნიდა მას ძლიერ პიროვნებათ საბჭოთა კავშირში.

ბერია სტალინის მარჯვენა ხელად ითვლებოდა, სტალინიც მას ეყრდნებოდა და მისი დიდი ნდობა ჰქონდა. ამნაირად თავის მდგომარეობით ძლიერო ბერია სტალინის სიკვდილის შერმდეგ ყველასათვის მეტად საშიში პიროვნება ხდებოდა.

კიდევ სტალინის ავანტიკობის ბოლოხანებში მის მემკვიდრეთა შორის იწყება ბრძოლა ძალაუფლებისათვის და პოლიტიკურ ჯაშუშური ინტრიგებს დიდი გასავალი ეძლევა. ეხლა ნათელია, რომ ამ ურთიერთშორის ინტრიგების შედეგი იყო მალენკოვის დავლებით მოწყობი-


ლი ათი ექიმის პროცესი, რომლითაც ბერიას საქმიანობის ნაკლი და შეცდომები უნდა გამოამჟღავნებულყო, რომ სტალინის ნდობა მისდაში მთლიანად გაქრწყლებულიყო.

სტალინის დასაფლავებისას მალენკოვი - ბერია - მოლოტოვი კომუნისტურ პარტიას მთლიანობის, დისციპლინის და ერთსულოვნ მუშაობისაკენ მოუწოდებდენ. ბერია თავის სიტყვაში მალენკოვს დიდი ტალანტის მქონე ადამიანათ აცხადებდა და ვითომც პირველობისადე უთმობდა. ამავდღეს დროს კი უბეში ქვეთი ჰქონდა, რომ პირველი შემთხვევისთანავე მალენკოვი წაექცია და პირველი ადგილი დაეჭირა. ჯერ-ჯერობით ამ ჭიდილში მალენკოვმა გაიმარჯვა, ბერია კი ციხეშია და მას გასამართლება მოელოს.

რად შეურაცხვეს მარშალი ბერია და რა ბრალსა სდებენ მას?

10 ივლისის მოწინავე წერილში კომუნისტური პარტიის ორგანო „პრავდა“ კომენტარიებს უკეთებს ცენტრალური კომიტეტის დადგენილებას ბერიას შესახებ და მას ბრალათ სდებს, რომ ის ცდილობდა კოლხოზებში ცუდი მდგომარეობა შეექნა და მით ქვეყნისათვის სურსათის მოწოდების საქმე გაეძნელებინა; რომ ის იყო საერთაშორისო იმპერიალიზმის აგენტი და კაპიტულაციის და კაპიტალიზმის რესტავრაციის მომხრე. მაგრამ ყველაფერი ეს ხომ მოლშევიკების ცნობილი და გაცვეთილი ბრალდებებია მათ წინააღმდეგ, ვისიც უმაღლესი სასჯელით დასჯა უნდათ. ასეთი მაგალითების მოწმენი ჩვენ არა ერთხელ ვყოფილვართ ამ სამი ათეული წლის განმავლობაში. ძერჟინსკი, მენჟინსკი, იაკოვა, ენოვი, თუ ბერია ათასნაირი ძალდატანებით და ფიზიკური წვალებით ბუზარის, ზინოვიევის, კამენევის და ბევრ სხვება ხომ ლაჩრებათ ხდიდენ და თავს მოლაპატებათ და ხალხის შტრებსათ აცხადებინებდენ. ასეთი ბედი მოვილის დღეს, უეჭველია; ბერიასაც და ამისათვის მას, რასაკვირველია, არავინ შეიბრალებს, არც შეიცოდებს.

ბერიას ბრალათ ედება აგრეთვე, რომ ის მხარს უჭერდა და ხელს უწყობდა ქრთვეულ მოძრაობას, ბოლშევიკების მიერ „ბურჟუაზიულ ნაციონალიზმათ“ წოდებულს. ამორქვდა ერებს ერთი - მეორესაგან და, ვითომც, რუსეთის დაშლას და დაარღვევას ცდილობდა; და ამას ბრალად სდებენ იმ პიროვნებას, რომელიც, როგორც საქართველოში, ისე საბჭოთა კავშირის



სხვა რესპუბლიკებში, სწორედ ეროვნულ მოძრაობას თავგანსომილებით ებრძოდა. ჩვენ ვიცით, რომ ბერიაშ საქართველოში ეროვნულ მოძრაობის ჩასაქრობათ ქართველობა ათასობით გაუღლიტა, თუ რუსეთის შორეულ კუთხეებში გადაასახლა. საყოველთაოდ ცნობილია ბერიას გაშმაგებული ბრძოლა „უკლონისტ“ კომუნისტების, როგორც, ბურჟუაზი-ნაციონალისტების, წინააღმდეგ. ჩვენ არ უნდა დავივიწყოთ არც ბერიას სიტყვები: კომუნისტური პარტიის უკანასკნელი ყრილობაზე, თუ სტალინის საფლავის წინაშე. ამ სიტყვებში ის ენერგიულად მოითხოვდა რუსეთის **შინაურ პოლიტიკის დამუხრებას** საბჭოთა კავშირის მრავალრიცხოვან რესპუბლიკებს შორის **მკვიდრ და დაურღვეველ კავშირზე**.

უნდა აღინიშნოს, რომ ბერიას პირიქედის ირგვლივ საქართველოში ერთნაირი ლიეგენდა შექმნეს. ლიეგენდების შექმნაში კომუნისტური პარტიის მეტად დახელოვნებულმა აპარატმა, ამ ოცდაათი წლის გასწვრივ ქართველი ერის წინსვლა კულტურულ სფეროში და მძაფრი მუშაობით მოპოვებული სხვა შედეგები ბერიას საქმეთ და დამსახურებათ გამოაცხადა, რათა ის პოპულიარული გაეხდა. ეხლა კი მალენკოვი და სხვა რუსიფიკატორები — დიდი და მთლიანად რუსეთის მოტრფილენი — ბერიას ნაციონალისტათ სახავენ და მის ეგრედ წოდებულ „ნაციონალიზმზე“ ბევრს მიიტომ სწერენ და ლაპარაკობენ, რომ არა მხოლოდ ის პირდაპირ ჩაქოლნ, არამედ საბჭოთა კავშირში მომწყვეტულ არა რუს ერებს მუხრუტი უფრო მაგრად მოუჭირონ, დიდმპყრობელური პოლიტიკა მეტა სიმკაცრით აწარმოვნ.

მთავარი ბრალდება ბერიას წინააღმდეგ კი ის არის, რომ ის ცდილობდა საშინაო საქმეთა სამინისტრო დაეყენებია პარტიის და მთავრობის მალა, ხელთ ჩაეგდო მთელი ძალა-უფლება და გამხდარიყო ძლიერამოსილი დიქტატორი.

და მართლაც, ბერია პირადი დიქტატორობისათვის ემზადებოდა. ამ მიზნის განსახორციელებლათ ის შეეცადა ყოველგან თავისი ხალხი ყოლოდა. ამ ხალხს ის იჩრედა და სხვადასხვა პოსტებზე, ნიშნავდა არა ეროვნული პრინციპის მიხედვით, არამედ თანახმად იმისა, თუ ვინ უფრო მისი მონა და მოჩილი იყო. მისი ძლიერ აპარატს კიდევ უფრო აძლიერებდა და სრული ძალაუფლებისაკენ მიისწრაფოდა. მაგრამ ამ სწრაფვაში ფეხი წაიკრა და კისერი მოიტეხა.

რით აიხსნება, რომ ასეთი ძლიერი აპარატის მქონე ადამიანი ასე ადვილად წაიქცა?

როგორც ზემოთ ვამბობდით, მდგომარეობა, ძლიერი აპარატი ბერიას ქმნიდა ძლიერი პიროვნებათ საბჭოთა კავშირში. მაგრამ როგორც ჩვეისტი და პოლიციელი ის სძულდა ხალხს. მას არსად თანაგრძობა არ ჰქონდა, ზოლო მისი მიმისაგან ყველას აკანკალებდა. ბერია განსაკუთრებით არ უყვარდათ წითელ ჯარში, სადაც მას თავალყურის სადევნათ ჩაყენებული ყველა თავისი აგენტები. თავისი ავტორიტეტით კი ის არაფერს წარმოადგენდა. ასეთ პირობებში ყველა მის მიერ დამინებულნი და მისი მოწინააღმდეგენი ადვილად შეერთდენ და მას ბრძოლა გამოუცხადეს.

მალენკოვმა აღარ დააყოვნა და მომენტით მოხერხებულად აიჩრია. ის ევრც პოლიციას და ევრც ბერიას სპეციალური ჩახშობს ადვილად ვერ ენდობოდა. მან, ალბად, წითელი ჯარის საბრძოლბას მიმართა და მასზე დაყრდნობით და მისი საშუალებით დაიწყო მოქმედება.

ჩვენი აურნალის ერთ-ერთ წიკრილში ამას წინათ ჩვენ ვსწერდით: „რეალური ძალა, რომელიზნედაც შეუძლია დაეყრდნოს დიქტატორს საბჭოთა რუსეთში, არის პოლიცია და წითელი ჯარი... ბერია აჯობებს ბუღვანინ - ვასილევსკი-უუკოვს, თუ ეს უკანასკნელნი ბერიას, ეს ძალთა გაწყობილებამ დაამარცხა ბერია. ვაზ. „პრავდა“-ს თქმით საშინაო სამინისტრო ეხლა სსსტკი კონტროლის ქვეშ არის გამოცხადებულნი და მას აღარავინ ენდობა. ასეთ უწყებას, რასაკვირველია, სახელმწიფოს უზრუნველყოფის დაცვას არ მიანდობენ, სადაც ის ბერიას ხალხისაგან არ იქნება გაწმენდილი.

თუ მალენკოვმა, ჯარის დახმარებით, ბერიაზე გაიმარჯვა და დღეს პირველობს, ეს იმას არ ნიშნავს, რომ წითელი ჯარის მეთაურობა ზედამ ჩრდილში დაჩრება და მალენკოვს, მოლოტოვს და სხვებს პირველობას დაუთმობს. სტალინის მემკვიდრეთა შორის ბრძოლა უცვლადწყებულია, ის გრძელდება და ჯერ კიდევ ბერია სიუპრიზებია მოსალოდნელი.

ბერიას ლიკვიდაციამ ევროპიელებზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა. მათი აზრით საბჭოთა რუსეთში, თუ მის სატელიტებში „დათმობების“ პოლიტიკის ინიციატორი და გამომხატველი ბერია იყო და მისი დამარცხების შემდეგ, შესაძ-

ლებელია, კარგილია „კომპრომიზების“ ვაზ მიატოვოს.

საბჭოთა რუსეთის შესახებ ლეგენდებს ევროპაში ათეული წლებისას გასწვრივ დიდი ვასავალი ჰქონდა, და, უნდა ითქვას, ევროპელებს ბერიაზე დაიდაცვი და დიდი წარმოდგენა აქეთ. ბერია არასოდეს ყოფილა ისეთი ყალიბის კაცი, რომ მას შესძლებოდა წვეყნის შინაური და საგარეო პოლიტიკის ხაზის მიცემა. ასეთი პოლიტიკას საერთოდ კომუნისტური პარტიის პოლიტიკა იმუშავებდა და მას პარტიის ყველა წევრთათვის საგაღმწელოთ ხდიდა. ბერია მისი ძლიერი პოლიტიკური აპარატის, საშუალებით სასტიკ ტერორს და ჩიბრებსაც, აწარმოებდა. მას მინდობილი ჰქონდა აგრეთვე უცხოეთში ყოველგან ჯაშუშები გაეჩინა და საჭირო ინფორმაციები მოეკრიბა. არც შეტი, არც ნაკლები. ამიტომ არ არის მოსალოდნელი, რომ ბერიას ლიკვიდაციას რუსეთის საშინაო, თუ საგარეო პოლიტიკაზე რაიმე თვალსაჩინო გავლენა ექნეს. უთანხმოება და წინააღმდეგობა ბერიას და მისი კოლეგების შორის არსებობდა არა საშინაო და საგარეო, ან ერთნაირი პრობლემების გამო, არამედ იმის გამო, თუ ვინ უნდა ყოფილიყო მათ შორის პირველი და ძლიერა-მოსილი დიქტატორი.

ბერია რიგებიდან ჟეკე გამოეპარდნილია. სტალინის შემკვიდრებებიდან ჯერ-ჯერობით დარჩენ სხვები, რომელნიც ერთი-მეორეს ცოფიან ძაღლებივით შეჰყურებენ. სხვების თვალის ასახვევად და თავის გადასარჩენად, ეს გაცოფებულნი ეხლა მთავრობის კოლექტიური და კოლექტიური მუშაობის პრინციპზე და აუცილებლობაზე ლაპარაკობენ. გახვთი „პრადა“ მოწინავესაც კი უძღვის ამ საკითხს და სასტიკად ილაშქრებს პიროვნების კულტის და ავტორიტეტის წინააღმდეგ.

თავის-თავს, თუ სხვებს ატყუებენ?

ლენინის სიკვდილის შემდეგაც ბოლშევიკები

ბერის ლაპარაკობდნ კოლექტიურად და კოლექტიურად მუშაობის საჭიროებაზე, მაგრამ ჩვენ ვიცით, თუ როგორ აწარმოვა ეს მუშაობა კამენევი - ზინოვიევი — სტალინისაგან შემდგარ ტრიუმვირატმა, ან თუ რა ბედით ეწვია საბჭოთა კომისრებს, კომუნისტური პარტიის კოლეგიის წევრებს — ტროცკის, რიკოვის, პიატაკოვის, ბუხარინის და ათასეული სხვებს.

საბჭოთა რუსეთში ათეული წლების განმავლობაში თხრობობდნ პიროვნების კულტის და ავტორიტეტის წინაშე ქედის მოხრას და მუცლით ხოხვას. საამისოდ ინტენსიური პრეპარატივი სწავრობებდა. პიროვნების კულტის და ავტორიტეტის არ ცნობა ითვლებოდა უდიდეს დანაშაულად და ამისათვის უმადოესი სასჯელიც იყო დაწესებული. სხვანაირად არც კი შეიძლებოდა.

ბოლშევიკური პარტიამ თავის იდეოლოგია — მსოფლმხედველობაზე აღზარდა მთელი თაობები და შექმნა აღმოსავლეთის ტიპის დესპოტია, მართველობის ისეთი სისტემა, სადაც ყოველგვარი თავისუფლება აღკვეთილი და წარმოუდგენელია. ამ სისტემის მსხვერპლი გახდნ: მილიონობით საბჭოთა მოქალაქე, თვით ბოლშევიკური პარტიის ძველი გვარდია და მისი რჩეული პირები. დაჩინილი ნაძირალებიდან ამ ბოლო დროს ადგილი ქონდა ბერისას ლიკვიდაციასაც.

კოლექტიური და კოლექტიური საქმიანობა და თავისუფლად აზროვნება შესაძლებელი იქნება მხოლოდ ტყვეობიდან გამოსული საბჭოთა კავშირის თავისუფალ რესპუბლიკებში, როცა ბოლშევიკური რეჟიმის სისტემა, მორალურად და პოლიტიკურად უკვე გაკოტრებული და ძირმომპალი, დაეშობა და მის ნანგრევებში მოყვებიან დღეს ერთი-მეორის წინააღმდეგ, ჩუმად, თუ აშკარად დაპირდაპირებული სტალინის სხვა შემკვიდრებებიც.

კ. გვარჯალაძე.

საქართველოს კომუნისტურ პარტიაში

III

გასული წლის აპრილში საქართველოში ჩამოვიდა ბერია, გადააყენა კომ. პარტიის ცეკას მთელი შემადგენლობა და შექმნა ახალი. ძველი შემადგენლობას თან ვაჰყვა, ჩრასაკვირველია მისი პირველი მდივანი ჩარკვიანიც. ჩარკვიანი თი-

თქმის 15 წელიწადით იყო კომ. პარტიის პირველ მდივანი და, მაშასადამე, საქართველოს ბატონბრძანებლათ. ჩარკვიანის ადგილას „არჩეული“ იქნა ვინმე მგელაძე.

რატომ გადააყენეს ასე უხეშად ძველი შემა-



დგენლობა, და ისიც ბერძნის ბირადი ხელმძღვანელობით? ამ საკითხზე ბირადპირი პასუხი მეტად ძნელია. დიქტატურას არა აქვს ღია, აშკარა და საჯარო პოლიტიკა. დიქტატურაში იბრძვიან არს იდეურათ, არა საჯარო მსჯელობით და იდეური საბუთებით, არამედ მსუშტით და ორგანიზაციის აპარატის საშუალებით. აქ არ არის და არც შეიძლება იყოს კრების, სიტყვის და წერის თავისუფლება, ამიტომ ზევით დასწრულ კითხვაზე რაიმე გარკვეული პასუხის გაცემა მეტად გაძნელებულია. მხარამ ზოგიერთი ის ცნობები, რომელსაც ჩვენ ქვევით ვაქვეყნებთ მათი პრესიდან, ვფიქრობთ, დასმარებას გაუწევს მკითხველს, დაახლოებით წარმოდგენა მაინც იქონიოს, ჩვენს ქვეყანაში შექმნილ ვითარებაზე.

შველადე „აირჩიეს“ მდივნათ აპრილში. მან მაშინვე გადააყენა ყველა საოლქო და საქალაქო მდივნები და მათ მხედირი „აარჩევია“ თავის მომხრეები, თუ თავის „ძმს-ბიჭები“, როგორც ახლა მათ ვაზეთი „კომუნისტი“ უწოდებს. სექტემბრის 15-ს კი მოიწვია საერთო ყრვილობა, სადაც ის გამოვიდა მეტად ცქცელი მოხსენებით. ეს მოხსენება ეხება საბჭოთა საქართველოს ყოფა-ცხოვრების ყველა დარგსა და საფეროს, მაგრამ ჩვენ აქ მოგვყავს, მხოლოდ ზოგიერთი ადგილები და ისიც შემოკლებით.

შველადე, ბირველ ყოვლისა, თავს ესხმის ძველ ხელმძღვანელობას და, განსაკუთრებით, მის წინამორბედ ჩარკვიანს. „საქართველოს ცენ. კომიტეტის ყოფილმა მდივანმა აშხ. ჩარკვიანმა — ამბობს ის — დიდი შეცდომა ჩაიდინა, გადააკისრა რა მთელი ორგანიზაციული მუშაობა და კადრების შერჩევა, ჩვენთვის უცხო აღმისანებს, რომლებიც ტენტ. კომიტეტის აპარატში იყვენ შემომძერალნი და პარტიისადმი მტრული მიზნებით მოქმედებდნენ“. „იწვითად იწვევდა პოლენუმებს, ცენ. კომიტეტის წევრებს არ ეგზავნებოდა ბიუროს სხდომების ოქმები, რის გამოც ისიც კი არ იცოდენ თუ რა გადაწყვეტილებას იღებდა პარტია უმნიშვნელოვანეს საკითხებზე“. „სერიოზული შეცდომები იყო დაშვებული კოლმეურნეობის გამსხვილების დროს, აგრეთვე სერიოზული შეცდომები ახასიათებს მრეწველობისადმი ხელმძღვანელობასაც“. „თვალის ახვევის, სახელმწიფოს მორტყუების პრაქტიკამ შეაღწია სოფლის მეურნეობაშიაც“. „უნდა აღინიშნოს, რომ მან მთელ რიგ პარტიულ ორგანიზაციებში ჩაფუძნა იდეოლოგიური და პარტი-

ული - პოლიტიკური მუშაობა, უყურადღესოთ ცაბრობოდა პროფ-კავშირულ, კომკავშირულ და სხვა საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ორგანიზაციებს. ინტელიგენციაში მუშაობის ცუდათ მოწყობამ გამოიწვია ლიტერატურის, სახვითი ხელოვნების, მუსიკის, კინემატოგრაფის ჩამორჩენა, სათეატრო საქმის გაუარესება“. „დასასრულ უნდა აღენიშნო დამოკიდებულება „კუთხური-სა“ და „შეფობისადმი“ და რომ პარტიას არ გაეწია ჯეროვანი წინააღმდეგობა ამ ანტიპარტიული პრინციპებისათვის, საქართველო დაიშლებოდა მთელ რიგ „პროვინციულურ სამთავროებათ“, რომელსაც „რეალური“ ხელისუფლება ექნებოდა; ხოლო საქ. კომ. პარტიისა და საქ. მთავრობისაგან ცარიელი ადგილი დარჩებოდა“. „ასეთი იყო საფრთხე, რომელიც შეიქნა კომ. პარტიაში აშხ. ჩარკვიანის საქმიანობაში დაშვებული შეცდომებით, პოლიტიკური სიბრმავეით და დიდი პოლიტიკური ჩადარდით“. „ძველი ხელმძღვანელობა სათანადო დასმარებას არ უწყევდა რესპუბლიკის სამეცნიერო-საკვლევ დაწესებულებებს, მოგვარებული არ არის მეცნ. შრომების დროული გამოცემა. ფილოსოფიური ინსტიტუტის მეცნ. შრომები მხოლოდ ქართულ ენაზე ქვეყნდება. ისინი თავის შრომებს უნდა ბეჭდადენ რუსულ ენაზეც — მოსკოვში და ლენინგრადში. ეს შენიშვნა შეეხება მეცნიერების სხვა დარგის წარმომადგენლებსაც“. „ლიტერატურის და ხელოვნების დარგში შექმნილია ძალიან ცოტა ნამდვილი ღრმა-იდეური, ქემ-მართად მხატვრული ნაწარმოებნი, რომელშიდაც სწორათ იყოს ასახული საბჭოთა აღმისანების ცხოვრება, მათი გმირული შრომა კომუნისტების მშენებლობაში. ამ ჩამორჩენის მთავარი მიზეზია ძველი ხელმძღვანელობა, რომელიც ლიტერატურის და ხელოვნების მუშაობაში ნერგავდა პირადული კეთილდღეობის და თვით დაშვებების განწყობილებას. ცნობილია, რომ საქართველოს მწერლების ნაწილი ჩამოშორდა ჩვენს საბჭოთა სინამდვილეს და მიმართა შორეულ ისტორიულ წარსულს. ამ მხრივ ბევრი ცოდნა მიუძღვის კონსტ. გამსახურდიას. აიდეალებს რა წარსულს, იგი ხშირად ვერ ხედავს განსხვავებას პროგრესიულსა და რეაქციონურს შორის ამ წარსულში. აქედან წარმოსდგება მის მიერ ქართული სალიტერატურო ენის დანაგვიანება ყოველგვარი მოგონილი სიტყვებით. ეს ახასიათებს ზოგიერთ სხვა მწერლებსაც. გამსახურდიამ უნდა სწეროს ხალხისათვის, თუ უნ-



და რომ ის ხალხმა იკითხოს. სერვიოზული პოლიტიკური შეცდომა იყო ქართულ ჩრდილოეთურ ენაზე ხელახლა გამოცემა შალვა დადიანის მანკიერი რომანის „გიორგი რუსი“, რომელიც დამახინჯებულათ, მრუდდ საჩუქვში ასახავს რუსი და ქართველი ხალხების მრავალ საუკუნოვან მეგობრობას. შალვა დადიანის „გიორგი რუსი“ მანკიერი მანკიერი ნაწარმოებია. მანკიერ ნაწარმოებთა ქება - დიდება, რასაც მიმართავდა, უწინარეს ყოვლისა, ჩარკვიანი, ერთად - ერთი მთავარი მიზეზი იყო, რომელმაც გამოიწვია სერვიოზული იდეოლოგიური დამახინჯებანი ქართულ საბჭოთა ლიტერატურაში“. „პირადელი კეთილდღეობის და თვითდამშვიდების გაწყობილების ვითარებამ, რაც ძველ ხელმძღვანელობაში იყო გაშვებული, თავისი დალი დასვა პრესის მუშაობასაც. ვაზეთები „კომუნისტი“ და „ზარია ვოსტოკა“, და მათი მაგალითებისამებრ საოლქო და საზოგადოებრივ გაზეთები, ალამაზებდენ სინამდვილეს, უზომოდ ბერადდენ ცალკეულ წარმატებებს და მით ხელს უწყობდენ პირადელი კეთილდღეობის, მუშაობისადმი არაკრიტიკული დამოკიდებულების ვითარების შექმნას“ და სხვადასხვა. „კომ.“ №№ 220, 221, 222).

მოსხენების გამო გამართულ კამათში მონაწილეობა მიიღო თითქმის ყველა დელეგატებმა.

დელეგატი მუსხელიშვილი (სამეცნიერო აკადემიის პრეზიდენტი) „... ძველი ხელმძღვანელობის არაბოლშევიკურმა, ჭებრინციპო, ობივტელურმა სტილმა უკანასკნელ წლებში არსებითი ზიანი მიიყენა ბევრ ჩვენს სამეცნიერო დაწესებულებასაც და ცალკეულ მეცნიერებსაც. მეცნიერებს ნაკლებათ ენდობოდნენ და მათ ცუდათ ამოწმებდნენ. ეს შემოწმება, ანუ „გამოკვლევა“, ზოგჯერ საესებით მახინჯ ფორმას იღებდა. ერთხელ ლითონისა და სამთო საქმის ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს წევრებს ცენტ. კომიტეტში გამოუთხვეს. ეს დაზარალებული ადამიანები მაგიდას შემოუსხეს, როგორც გამოცდის ჩასაბარებელი მოწაფეები, ქალაქის ფურცლები დაურიგეს და წინადადება მისცეს დაეწერათ ჩვენება, ამასთან ძალიან სასტიკად აუკრძალეს ერთმანეთის ქალაქში ჩახედვა. ასეთი, უკაცრავად პასუხია, გამოკვლევა ქმნიდა ჭაბებს და მითქმა - მოთქმის არაჯანსაღ ვითარებას, რასხუდა ჩვენი მეცნიერების ავტორიტეტს ფართო საზოგადოების თვალში და რაც ყველაზე უარესია მოსწავლე ახალგაზრდობის თვალში“. „ჩვენი მეცნიერები მუშაობენ სხვა

რესპუბლიკის მეცნიერებთან, პირველ რიგში დიდი რუსი ხალხის. ამიტომ განსაკუთრებით მკაცრათ უნდა დაეგმოთ ჩვენი ლიტერატურის ზოგიერთი მანკიერი ნაწარმოები, რომლებიც ცდილობენ სახელი გაუტეხონ ამ გულწრფელ მაგობრობას. მე ხელმძღვანელობაში მაქვს შალვა დადიანის რომანი „გიორგი რუსი“, რომელიც სამართლიანად გააკრიტიკა ამხ. მეცელადემ. მე მთლიანად უერთდები ამხ. მეცელადეს გამსახურდიას სამართლიანად გაკრიტიკებაში“ და სხ. და სხ. („კომ.“ №226).

ვ. ბაქრაძე (საქ. შინ. საბჭოს თავმჯ. ამხანახი) „...ერთადერთი მიზეზი ძველი ხელმძღვანელობის ჩაგარდნისა იმაში მდგომარეობდა, რომ უკანასკნელი წლების მანძილზე მივიწყებული იყო მუშაობის სტალინური ტრადიციები, რომელიც საქართველოში ამხ. ბერის დანერგა. ვინაიდან თითქმის უკანასკნელი სამი - ოთხი წლის განმავლობაში შესამჩნევი იყო, რომ ამხ. ჩარკვიანი აშკარად გვერდს უხვევდა მუშაობის სტალინური სტილს და ამან მიიყენა ის უდიდეს პოლიტ. ჩაგარდნად“ და სხ. („კომ.“ № 227).

გ. ცინცაძე (აჭარის საოლქო კომიტეტის მდივანი). „...საქ. ცენტრალური კომიტეტის ყოფილმა უტუნარო ხელმძღვანელობამ და, უწინარეს ყოვლისა, ჩარკვიანმა, უდიდესი ზიანი მიიყენეს რესპუბლიკის ეკონომიკას და კულტურის განვითარების საქმეს“. „ახლა ყველასათვის ცხადია ჩარკვიანის პოლიტიკური სიბუცე. ამ საბუცემდე მიიყენა ჯერ - ერთი იმის სრულმა დაიწყებამ, რომ ჩვენ ჯერ კიდევ კაპიტალისტური სამყაროს გვერდით ვცხოვრობთ და შერჩე, კადრების შერჩევისა და განაწილების სტალინური პრინციპის დაიწყებამ“ და სხ. („კომ.“ № 227),

დელეგატი **გეთია** (აფხ. საოლქო კომ. მდივანი). „... საქარ. ცენტ. კომიტეტის ყოფილი ხელმძღვანელობის და, პირველ რიგში, ამხ. ჩარკვიანის უხერხელობა ამცირებდა სახელმწიფო და კოოპარტიულ სახსრების გაფლანგვა - გატაცების წინააღმდეგ ჩვენი მძიძობის ეფექტივობას. ასევე იყო საბჭოთა კანონიერების დარღვევების საქმეშიც“. „ამ ხელმძღვანელობამ დაივიწყა კადრების მარქსისტული - ლენინური განათლება და სერთოდ იდეოლოგიური მუშაობა. ამხ. შადური, რომელიც იდეოლოგიური მუშაობის საკითხებს განაგებდა, ფაქტიურად უურადლებას არ აქცევდა ამ საქმეს. ცენტ. კომიტეტი ვანზე ედგა იმ დიდ მუშაობას იდეოლოგიური ფრონტზე, რაც ვაწიე-

ლი იქნა ამ უკანასკნელ წლებში აფხაზეთში“ და სხ. და სხ. („კომ.“ № 223).

დედლევატი კეცხოველი (საქ. მინისტ. საბჭოს თავმჯდომარე). „... ყველა ის წარმატება, რომელიც მოპოებულია საბჭოთა მთავრობის მიერ, უფრო მნიშვნელოვანი იქნებოდა, რომ არ ყოფილიყო უღარდელოობისა და პირადული კეთილდღეობის ვითარება, რომელიც ვამეფებულა იყო ცენ. კომიტეტში და რჩომელსაც ნერგავდა კომიტეტის ყოფილი პირველი მდივანი ჩარკვიანი. წარმატებებით დატკობა, უღარდელოება და პირადული ზნაური — აი ის ვითარება, რომელმაც განსაზღვრა სერიოზულ შეცდომათა და დამახინჯებათა წარმოშობა პარტიულ და პოლიტიკურ საქმიანობაში“ და სხ. („კომ.“ № 225).

3. გოგუა (საქ. ქვანახშირის კომბინატის უფროსი). „... უფრო და უფრო ამკარს გახდა ძველი ხელმძღვანელობის, პირადად ყოფილი პირველი მდივნის ამხ. ჩარკვიანის მიერ დაშვებული სერიოზული პოლიტიკური შეცდომების და ჩავარდნების ზანიათი. პირადული განწყობილება, რომელიც დამკვიდრდა მაშინდელ ხელმძღვანელ მუშაკთა შორის, შედეგი იყო არა მარტო იმისა, რომ ჩარკვიანი უწყობდა ხელს ამას, არამედ იმისაც, რომ ბევრი ჩვენგანი, რომლებიც მაშინ ხელმძღვანელ თანამდებობაზე ვიყავით, ხელს უწობდით ამ განწყობილების ვაჭრელებს, პირველ რიგში ასე ვიქცეოდით მე. ამას კი იმიტომ ჩაედით, რომ ბრმაღ მჯეროდა ჩარკვიანის, პატრეს ვსცემდი მას“ და სხ. („კომუნისტი“ № 225)..

დედლევატი გ. ლეონიძე (საქ. მწერალთა კავ. პრეზ. თავმჯდომარე). „... ცხოვრების უცოდინარეობა არის მთავარი მიზეზი ჩვენი მწერლობის, კერძოდ ჩვენი პროზისა და დრამატურგიის ჩამორჩენისა. აქედან ზოგმა მწერალმა შესაფერი დასკვნა უნდა გამოიტანოს. წინააღმდეგ შემთხვევაში მრავალი მწერლის კალამი დაჟანგდება და ბევრი მელანი გაწყალდება. ჩვენმა მწერლებმა დიდი ყურადღება უნდა მიექციონ ცხოვრების ფაქტების ცოდნას და მათ განზოგადებას, საბჭოთა მწერალი კომუნისტის პროპაგანდისტია. ამხ. ჩარკვიანის კარჩაკეტილი მუშაობის სტილი, კრიტიკის ჩახშობა, მლიქნელობა, საპირადო განწყობილება—მწერლობაში იყო გადმოსული. ზნაურად კრიტიკის სატირებაზე ლაპარაკობდნ და კრიტიკას თვითვე საზნობდნ. იყო შემთხვევები, როცა რომელიმე ნაწარმოების გაკრიტიკება აკრძალული იყო

ცენ. კომ. მდივანი შადურის მიერ. ამხ. შადურმა აქსიომით მიიღო ამხ. ჩარკვიანის ახირებული დაპირისპირება პროზისა პოეზიასთან. მხოლოდ პროზა იქნა გამოცხადებული წამყვან ენადა. ხელაღებით ამავე აზრისა იყო პროპაგანდის და ავითაცის განყოფილების გამგის მოადგილე ამხ. გ. ჯიბლაძე. ამხანაგებო! ჩვენ გვაკლის პროფესიული ოსტატობა, მაგრამ მთავარია ის რომ ვერ მოვახერხეთ ჩვენი იდეური დონის ამსაღება, ჩვენ არ გვაქვს მარქს-ენგელს ლენინ-სტალინის მოძღვრების დრმა ცოდნა. სავსებით სამართლიანი იყო ამხ. მეგლადის კრიტიკა კ. გამსახურდიას მიმართ. გამსახურდიამ უნდა გაიხადოს ბურჟუაზიულ-ნაციონალისტური ბუტაფორული ჯავშანი. შალვა დადიანის რომანში „გიორგი რუსი“ გაყალბებულია რუს-ქართველთა ურთი-ერთობის ისტორია, ჩვენი კავშირის მუშაობაში მეტად ჩამორჩენილია კრიტიკის სუბანი. ჩამორჩენილია დრამატურგაც. ცხოვრების სინარხთლე — აი რა აკლია ჩვენს პიესებს. უნდა ითქვას, რომ ქართულ საბავშო მწერლობაში ნაკლებათ არის ასახული დღევანდელი დღე, კერძოდ პიონერების და სკოლის ცხოვრება. უსისამვნო შთახედილებას ტოვებს ზოგი საზოგადოებას ყოყობა, თავდაჯერება, სწავლისა და გამოსვლებისათვის თავის არიდება და „პროვინციალური ხერხებით“ მრძოლა სახელისათვის“ და სხ. და სხ. („კომ.“ № 228).

დედლევატი ო. ეგიაძე (კინომატოგრაფიის მინისტრი). „... თქვენს ყურადღებას მივაქცენ იმას, რომ ამხ. ჩარკვიანის პოლიტიკურმა სიბრმავემ, გარდა ყველა სხვა დანარჩენისა, იმაშიც იჩინა თავი, რომ ქართულ ენაზე, თითქმის არ გამოდიოდა დიდი რუსული ლიტერატურის საუკეთესო ქმნილებანი ცენ. კომიტეტის ძველი ხელმძღვანელობა ხელს უწყობდა ქართული ლიტერატურაში ე. წ. „დასავლეთური“ განწყობილების მოძალეზას, რასაც ნერგავდნ ადამიანები, რომლებსაც ვანათლება მიღებული აქვთ დასავლეთი ენობის ბურჟუაზიულ ლიტერატურასა და სალონებში. მათ შექმნეს იმის შესაძლებლობა, რომ ფორმალისტის, დეკადენტობისა და კოსმოპოლიტიზმის ნაშთებს ჩვენს ლიტერატურაში შემოეღწია“ და სხ. და სხ. („კომ.“ № 228).

ასეთი დაფასება მისცა სექტემბრის ყრილობამ მეგლადის მეთაურობით, ჩარკვიანის მუშაობას. ხოლო, თუ როგორ დააფასა თვით მეგლადის და მისი ცენტ. კომიტეტის მუშაობა ამ



ლი ა წ ე რ ი ლ ი X - ს

I.

ბოროტების შეერიგება აბსოლიუტური ბოროტებაა.

სპენსერი.

ჯუღაშვილის სიკვდილმა მცერი ბოროტება გამოსაშხურა. ურწმუნო თომებიც საგონებელში ჩაადგო და მანვე ილიუზიები გაუქარწყლა. ძნელია, ერთ წერილში, სამი ათეული წლის განმავლობაში ჩადენილი დანაშაულის ამოწურვა და დაფასება, მაგრამ გაკვირვებით მოგაგონებ ახლო წარსულს. ვინდო გამოგადგეს!

ბოლშევიკური თეორია და პრაქტიკა წარმოიშვა არსებულის სრული უარყოფის ნიღაფზე. ნიჰილისტური დემონი დაეპატრონა იმთავითვე მის საქმიანობას, როგორც საზოგადოებრივი ევოლუციის ათვისების და შეფასების საზომი და კრიტერიუმი. მან რადიკალურად შესცვალა ცნებათა ძველი შინაარსი და ყირამალა გადაატრიალა საუკუნოებით დადგენილი წინებრივი შეგონებანი.

სიმწრით აღდგენილი საქართველოს დამოუკიდებლობა ამ გაუგონარი ფსიქოლოგიური რეაქციის პირველი მსხვერპლი შეიქნა. იგი დაანგრევს წითელი რუსეთის ჯარებმა, რომელთაც წინ უშლავერის რენეგანტები მოუძღოდნენ. ესენი იყვნენ ფ. მახარაძე, ბ. ზღვიანი, მ. თარხელაშვილი, სვანიძე, კვიციელია და სხ., ორჯონიკიძის საერთო ხელმძღვანელობით და ჯუღაშვილის დავალებით. დაფუშვათ, რომ მათ რაღაც იდეალი ამოძრავებდათ! ესთქვათ, ბოლშევიკური ფანატიზმით დაბრმავებულებს მართლა ეგონათ, რომ ვიღაცას და რაღაცას სამსახურს უწევდნენ. მოყვასის სამსახური ქრისტეს მცნებაა, ადამიანთა სოლიდარობის მიუცილებელი მორალური ფუძე, სოციალისტური იდეალიზმის მამოძრავებელი ძარღვი. მაგრამ ფანა ლალატი, საკუთარი კერის უცხო ძალით განადგურება, შეიძლება კეთილ საქმეს ემსახურებოდეს? მრავალტანჯულ ქართველი ერის ისტორიას ასეთი მაგალითი არ ახსოვს. მართალია, გიორგი სააკაძემ მოინდომა შინა ანგარი-


შების გასწორება უცხო ძალის დახმარებით, მაგრამ, გადამწყვეტ მომენტში, მის ქართულ სულის სიღრმეში პატრიოტული დრამა დატრიალდა და, თანამემამულეთა დახმარებით, მტრის ჯარი მანვე გაანადგურა.

1921 წლის გაზაფხულზე, ერთი კოჯორის გმირი ჩამოსვენებულიქმნა თავის სოფელში. დასაფლავებაზე ერთი მეზობელი კომუნისტი გამოცხადდა; როგორც იშვიათ მხეცს, ისე დაესივნენ მეზობლები და ჩადენილი ბოროტების ანგარიშს სთხოვდნენ. მან თავის დასაცავად, განაცხადა — შე ქართველი კომუნისტი ვარ და ჩემი ქვეყნისათვის ცუდი არ მინდა - ო. რას ნიშნავდა ეს? თუმცა ლალატი ჩავიდინეთ, მაგრამ აწინდელი მუშაობით გამოვისყიდით - ო. გამოცდილება კი გვიჩვენებს, რომ ბოლშევიკური იდეოლოგია ყველგან თავისებურ, ერთნაირ და ერთფეროვან ადამიანებს ქმნის. წვიმის ორი წვეთითვე ვგვანან ერთმანეთს სიღნაღის, სენაკის თუ ოზურგეთის მახრის მოვარდნილი კუთხის კომუნისტი და მისი პარიზელი თუ მექსიკელი თანამოძმე. საკვირველია და, ამავე დროს ბუნებრივიც მათი მსოფლიოხედვის იგივეობა უმწეობა — გათახსირებაში! წინებრივი ნიჰილიზმის ქაობში აღზრდილი ადამიანები არ შეიძლება ერთნაირ წუმბეში არ ცურაობდნენ. ამიტომ, ამ ფენომენის განსახილველად სიერეკეში მოთავსება ან უფიცობის ნაყოფად უნდა ჩაითვალოს ან აბსოლიუტურ თვალთმაქცობად.

ქართველი კომუნისტებიც რუსულად უნდა მოქცეულიყვნენ. დამპყრობელი წითელ რუსეთს თავისი ბოროტი ამბიციები უნდა გაენალღებია და დაიწყო ქართველთა სიბევა. გაგრძელდა თავისუფლებისათვის ისტორიული ბრძოლა მეტად არა თანასწორ პირობებში. მოგესხენება, რომ საქართველოს მარჯდისობას ქმნიდა ის გარემოება, რომ მან ერთნაირად კარგად იცოდა როგორც ხმლის დატრიალება ისე, მოხერხებული დიპლომატიის მომარჯვება. არათანასწორ ბრძოლის შესაწინააღმდეგოდ და ძალების დაზოგვის მიზნით, დაპყრობილმა დამპყრობელს მოსთხოვა გაეყვანა უცხო ჯარი, მოეხდინა პლებისციტი და თუ ბოლშევიკები უმრავლ-

წლის მარტ-აპრილში ჩატარებულმა საოლქო-საქალაქო კონფერენციებმა — ამას ჩვენ უპყვე გავცანით „მეზ. საქ.“ მე-14 ნომერში.

გრ. ურატაძე.



სობის ნდობას დაიმსახურებდნენ, დარჩენილიყვენენ ქვეყნის სათავეში და სისხლის ღვრაც შეჩერდებოდა. ამ წინადადებით მისული მუშათა დელეგაცია, შემდეგში გაუბედურებულმა ბუდე მდივნმა გააჭიო და, ერთი კვირის ძიების შემდეგ ის, ჩეკას სარდაფის სიღრმეში აღმოვაჩინეთ; ხოლო ორჯონიკიძემ ეს კეთილშობილი უსტი სულმოკლეობად და სიმხდალეთ მონათლას!.. დასაწყისში გეუბნებოდი, თუ როგორ შეტრიალდა ბოლშევიკური ლაბორატორიაში დადგენილ ქეშმარიტების აზრი და გაცემა. მდგომარეობიდან გამოსავალი ბოლოს მაინც ნახეს: მოღალატეთა მთავრობამ რუსის ჯარი იშვილა, და ამ „შვილების“ ხიშტების წყალობითაა, რომ მის „შემდეგ ქართული სისხლი იღვრება.

ჯერ იყო და, შენი მასწავლებლები შეეცადენ სისხლიანი აგრესია „მუშათა და გლეხთა განთავისუფლებათ“ გაცხადებიათ. მისხარაძე, რომელიც დაეცა აწ განსვენებული ნოე ყორღანია აბობდა — მცე რომ ბოლშევიკი ვყოფილიყავი, იგი მენშევიკი იქნებოდა - ო, თითქოს გაკვირვებული უსაყვედურებდა თავის მოსკოველ ბატონებს: საქართველოში წითელი ჯარის შემოსვლამ ნამდვილი დაპყრობის ხასიათი მიიღო; ადგილობრივმა კომუნისტებმა არაფერი არ იცოდნენ - ო. აბა, შენ გასაინჯე ამ ღვარძლისანი მოხუცის პირფერობა! დაპყრობა რომ დაპყრობის ხასიათს მიიღებდა, ვანა ამის გათვალისწინებამს დიდი ჭკუა და ინტუიციის უნარი სჭირდებოდა? რაც შეეხება იმას, რომ ადგილობრივებმა არაფერი იცოდნენ ეს ხომ ისევე ყალბია, როგორც თვითონ ბოლშევიკში. ვინც იყო ისინი უცხო ჯარს თვითონ შემოუძღვენ, მასხარაძე და მპყრობელ ძალის „მთავრობის“ თავმჯდომარე და აგენტი იყო, ხოლო დანარჩენები თითო-ორ-ოლად უნდა გეძებნა, იმდენად უდღეური და უნიადაგო იყო ჩვენში ბოლშევიკების ძალა და ორგანიზაცია. მაგონდება ერთი ეპიზოდი: 1922 წელს მეტეხის ციხე საცხე იყო პოლიტიკური პატიმრებით, დამსახურებული პოლიტიკური და საზოგადო მოღვაწეები, ყოველი წრის და მინარითულების, მუშები, გლეხები, სტუდენტები და მოწაფეები აესებდნენ ციხის საკენს. ციხე ორად იყოფოდა და ერთი კორპუსიდან მეორეში გადასვლა შეუძლებელი იყო. მსკოვან ისიდორე რამიშვილმა მოახერხა შუა კარების გაღება და აღდგომა დღეს თავი მოგვიყარა ეჩხოში. ციხის ეკლესიას ეკვრის ეზოს ამაღლებული ნაწილი სადაც მეფის დროს პატიმრობაში მას ბა-

ლი გაუშენებია და ამიტომაც მას ისიდორეს ბაღს უწოდებდნენ, ისიდორეც მას თავლის ჩინიეთ უვლიდა. აი, ეს ამაღლებული ნაწილი განდა შეკრებილ პატიმართა სამიტინგო ტრიბუნად, საიდანაც ამ უტეხმა მოხუცმა მართლაც დაუვიწყარი საისტორიო სიტყვა წარმოთქვა აღდგომის დღესასწაულზე და ის, როგორც ქეშმარიტებისა და სამართლის აღდგომა, ქართველი ერის მრმაველ გამარჯვებას დაუკავშირა, მაგრამ ეს არ შეადგენს ამ წერილის საგანს. აღვნიშნავ მხოლოდ, რომ „შემდეგში გადასახლებაში დაღუბულმა არწივთვალემა გიზო ანჯაფარიძემ წარმოადგინა ერთი სცენა სათაურით: ისიდორე რამიშვილის ქართული ენის გაცვეთილი მეტეხში. ისიდორე პატიმარ გლეხებს ასწავლის ქართული ფრამატიკის წესებს და ავარჯიშებს მათ:

ისიდორე: აბა ვინ მეტყვის — ვირი, როგორ იქნება მრავლობით რიცხში?

გლეხი: ვირები, ბატონო!
ისიდორე: კომუნისტო?

გლეხი: კომუნისტს, ბატონო, მრავლობითი რიცხვი არა აქვს, ჩემს სოფელში ერთის მეტი არ მეგულებოდა - ო.

ეს ენაზნევილი გლეხი ნამდვილ და ზოგად ქეშმარიტებას გამოხატავდა. ასეთი იყო, დაახლოებით, შენი პარტიის „სიძლიერე“ დაპყრობის პირველ ხანებში. ქართულ ბუნებას არ უდგებოდა ბოლშევიზმის - გამსათხსირებელი საქმე და სიტყვა. ეს მან დაამტკიცა ჯერ კიდევ ცარიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში, როცა მან პირწმინდათა გარეყა ეს რუსული ნიჰილიზმის ღმზგავსი ნახეთქი. ეს მან დაადასტურა დამოუკიდებლობის დროს, როცა აზრი, სიტყვა, კრება და ორგანიზაცია თავისუფალი იყო, მაგრამ კომუნისტებმა ფეხი ვერ მოიკიდეს, მიუხედავად რუსეთის, და სხვათა მრავალთა, შეხმატებილებული ინტრიგებისა!..

თვით, ლალატის ავტორები, შენი ქართველი მამათმთავრები ბოლოს ხომ დარწმუნდნენ თავიანთ შეცდომაში და „უკლონისტობით“ სკადეს დანაშაულის გამოსწორება. ამ ცდამ ისინი გადაიყოლა. არც ერთი მათგანი ბუნებრივ სიკვდილით არ დამორჩებია ამ სოფელს გარდა ფნახარაძისა, რომელიც შემდეგ, საფლავში აფეთქეს მამაცურად, ბოლშევიკურად! ასეთი ბოლშევიზმის ბუნება. ის არ ინდობს თავის ერთგულ შვილებსაც. ისინი ჰქვებიან, მაგრამ მი-




ჰყვება თან მთელი ქვეყნის წყველა - კრულვა. რას იზაბ, ასეთია მოლაპატის ხედვრი!

ქართველი ხალხი ბოროტებას არ ურიგდება. ჩვენგან შორს არის ის აზრი, რომ თითქოს ბოლშევიზმი რუსეთში, რაღაც შემთხვევითი მოვლენა იყო. მართალია, მის მოვლინებას ბეჭედი: შემთხვევამ შეუწყო ხელი, მაგრამ, არსებითად იგი მისი საზოგადოებრივი და პოლიტიკური ევოლუციის პირშია შეიღობა. მათგან ანარქიზმის მამათმთავრება რუსები — ბაკუნინი, კროპოტკინი იყვნენ. არასოდეს, რუსეთის ხელისუფლებას აზრათაც არ მოსვლია ხალხის განათლების და თავისუფლების გზაზე გამოყვანა. მისი ყურადღება მიმართული იყო იქითკენ, თუ როგორ გაფართოვდეს ტერიტორია; როგორ დაიპყროს და დაიმონოს მეზობელი პატარა ერები მოტყუებით და უხეში ძალით. რუსი ჯარისკაცი მიდიოდა სასაკლავოზე „მეფის და სამშობლო“ დიდებისათვის, მაგრამ წარმოდგენაც არა ჰქონდა თუ რა შინაარსი ღვეს ცნება „სამშობლოში“. ის ასრულებდა ნოვალეობას, ხოლო ავიწყდებოდა, რომ მას რაღაც უფლებებიც უნდა ჰქონოდა. 1921 წელს: საქართველოს თავისუფლების დასანგრევად მოვლენილი, ნახევრად მშვიერი და ჩაღვრული რუსი ჯარისკაცები ნატანების სადგურზე კითხულობდნენ თუ რა მანძილი დარჩა კიდევ ინდოეთამდე! მაგრამ რათ უნდოდნენ ეს ინდოეთი, რა აზრი და სარგებლობა იყო მათთვის ამ მარტვილობაში, ეს საკითხი მათთვის არც არსებობდა!

გარდა ამისა, რა ჯურის ავანტიურისტები არ განაგებდნენ მის ბედს! თავი დავანებოთ ვარიანების მოწვევას, (ვარიანგი სლავიანურად, თუ არც დედები, ნიშნავს მტერს, და მტერს ჩაბარა ხალხმა თავისი ქვეყნის მართვა - გამგეობა!) თავი დავანებოთ ზოგიერთ კანონიერი მფეების თავაშვებულ დესპოტიას; მოვიკონოთ ორი ცრუ - დიმიტრის მემკვიდრეობა, ბორის გოდუნოვი, რასპუტინი და ბოლოა ჯულაშვილი. არავითარი გენია არ სჭირდებოდა რუსეთის ტახტის დაბატონებას. საკმაო იყო სლავური - მონგოლური სულია ცოდნა და მათრახის უმთაწყო და ენერგიული მომარჯვება. ეს იცოდა ლენინმა და მისგან ისწავლა ჯულაშვილმა.

როგორც ხედავ, მ ე ვ ი რ ი არაფერია საერთო - ქართული და რუსული მსოფლმეგნებას. შორის, ეს განსხვავება ამ ორი ერის თავისებური

ისტორიული, გეოგრაფიული და კულტურული ერთარებით განისაზღვრება. თუ მოხუცმა მეფე ერეკლემ რუსეთთან დამეგობრება გადასწყვიტა, მისი მთავარი საზრუნავი ერის ფიზიკური გადარჩენა იყო. მისი უკანასკნელი იმედი ერთ-მორწმუნე რუსეთი - და დარჩა და, დასაძლეთთან უშუალოდ დაახლოების ცდების უნაყოფობის გამო, ფიქრობდა ამ გზით საქონსტანო სამყაროს გადაბოლდა. მაგრამ მისი იმედი არ გამართლდა. ის რუსულ სივრცეს ქართული საზომით უღვებოდა. ამას ვარდა, საუროდ იმ ეპოქაში სარწმუნოებრივმა ფაქტორმა, რომელიც ხშირად ვადამწყვეტ როლს თამაშობდა ძველ ხალხთა ურთიერთობაში, თავისი მნიშვნელობა დაკარგა. იწყებოდა ახალი იმპერიალისტური ხანა, რომელიც უმთავრესად, ამოძრავებდა ჩუქსული პოლიტიკას. დადებული ხელშეკრულება მეფის რუსეთმა რაღაც 18 წლის შემდეგ გააუქმა და საქართველო თავისი ფუტურნიებად გადააქცა. ასეთივე ბედი ეწვია დამოუკიდებელ და თავისუფალ საქართველოს 1921 წლის თებერვალში. 1920 წლის 7 მაისის სამეგობრო ხელშეკრულება წითელმა რუსეთმა გასთლდა და უდანაშაულო ერი სისხლის მოჩევიში შეაკურა. რუსეთის უღრან ტყვებში, ცულმეზარავ ტუნდრებში და ერთფეროვან სტებებში ატეხილმა ქარიშხალმა წაღეკა ქართული მიწა - ველები, ვადასტება მისი თავისუფლების ხე და დააბნელა ქართული მზე, ქართველმა ხალხმა ბეერი დაპრობა და განადგურება განიცადა, მაგრამ არასოდეს თავის თავზე უარი არ უთქვამს, მონობას არ შეჩივებია. როგორ გაუსწორდით თქვენ ქართველი ხალხის საერთო აჯანყებას? შენ მაშინ საყმაოდ დამსახურებული ჩეკისტი იყავი. კომინტერნიდან მოვლენილი, მონეტიალე სადისტის ბელა - კუნის ბრძანებით გაულიტეთ ათასობით საუყეთესო რევოლუციონერი - მამული შვილები. ძუნკალ ძალებივით დარბოდენ თქვენი აგენტები ტფილისის ქუჩებში „საწყევო“ პირების აღმოსაჩენად. ბათუმში ვასილ ჩიტაიშვილს ეძებდით, ტფილისში მის უდანაშაულო ძმას სიცოცხლე მოუსწრაფეთ! ვიგინდა - რა ბელა - კუნს აბა, ქართული სისხლი რად ენაღვლებოდა! და როგორ უბასუხა ქართველმა ხალხმა ამ შორივ სინხეცეს და სულმძაბლობას? მან აქაც, ლეგენდარული კეთილშობილება და საზოგადოებრივ - პოლიტიკური სიმწიფე და მომზადება ფამოიჩინა. მან კარგად იცოდა თუ რა



გორ ანადგურებდით თქვენ უღიანაშაულო მამუ-
ლიწვილებს, მაგრამ არც წარსული და არც იმ
შავ-ბნელ დღეების დანაშაულისათვის შური
არ უძიებია. მაგალითი უნაშაულო: სამეგრელოში
იმ დროს, როცა შენი კოლეგა ალ. გეგეჭკორი
მოსახლეობას სოფლობით ანადგურებდა, აჯა-
ნყებულების ხელში იყო მრავალი ჩეკისტ-კო-
მუნისტი; მათ ერთი თმაც არ დაჰკლესიათ. გუ-
რიაში, აჯანყებულებს ხელში ჩაუვარდათ, სხვე-
ბთან ერთად, ვიღაც ქილოფთარი, გაუგონარი
ჯალათი, რომელმაც ერთ პოლიტიკურ პატი-
მარს ჭალაში ქვაზე თავი დაადებინა და მცორე
ქვით თავი „ლოჯაშივით“ გაუბრტყელა. (ამ ჯა-
ლათის გამოთქმა) ამ წამებულს ძმა, ცნობილი
იარაღის მოყვარული და თავიდან-ფეხებამდე
ზეთარაღებული, აჯანყებულთა რიგებში იყო.
დატყვევებულ ჩეკისტებში შეაშრნია თავისი
ძმის მკვლელი. იმის მაგიერად, რომ მტარვალ-
სათვის იქვე გაესწორებია ანგარიში, მან შტაბს
მიმართა (**ეს ერთი!**) და სთხოვა მისთვის შურის
ძიების ნება მიეცათ. მან ასეთი პასუხი მიიღო:
სახალხო მოძრაობაში ყოვლად დაუშვებელია
ანგარიშების გასწორება, დანაშაუდი თავის დრო-
ზე კანონის წინაშე აგებს პასუხს - **ო (ეს მეორე!)**
და ეს კაცი დაემორჩილა ხალხურ დისციპლი-
ნას (**ეს მესამე!**). როგორც ხედავ, აქ სამი
მაგალითია, ქართველი ადამიანის პოლიტიკური
სიმწიფის, კეთილშობილების და რაინდული
დისციპლინის. აჯანყების დამარცხებისას ჩეკის-
ტი სხვებთან ერთად, თავისუფალი დასასრუ-
ლად სახლში. სამტრედიასში, აჯანყებულებმა და-
ატყვევეს თქვენი ტფილისის კომიტეტის მდივან-
ი გვარად რუბენი, რომლის ხელქვეითი იყავი
შენ. სიტყვა, რუბენს მოსწყურდა და მცველს
წყალო მოსთხოვა. გლეხმა სახელდახელოდ
წყალი ვერ იშოვნა, მაგრამ მსხალი მიართვა და
უთხრა: ჯერ - ჯერობით ეს იყოს და როგორც
კი შევსძლებ წყალს მოგართმევო. და იცო, რო-
გორ დააფასა რუბენმა გლეხის ეს საპოტანეუ-
რი საქციელი? დასარცხების შემდეგ ეს კაცი
დაიჭირეს და დახვრიტეს, ხოლო განთავისუფ-
ლებული რუბენი ტფილისში საჯაროდ იკვებ-
ნიდა: ლაჩარმა აჯანყებულებმა ვერაფერი გა-
გვიბედეს, ერთმა მათგანმა მსხალიც მომართვა,
მაგრამ ამ მსხალმა იგი ვერ იხსნა - **ო. აი, დეგუ-
ნერატის რეაქცია ქართული რაინდობის და კე-
თილ-შობილობის ამ ბუნებრივ გამოვლენის**

მიმართ. რამდენი ასეთი მარგალიტის ამო-
კრეფა შეიძლება ამ სისხლიან დღეებიდან, მაგ-
რამ ესეც საკმაოდია, ბოლშევიკური გაბრწი-
ლებასა და ქართველი ხალხის სიმალოის შორის
უფსკრულის გამოსამხეურებლად.

კიდევ ერთი უპიზოლი აჯანყების შემდეგი
პერიოდიდან. ცნობილ რევოლუციონერმა, პო-
პულიარულმა მოხუცმა ვლასა მგელაძემ ერთ
ფარულ შინაზე, ეზოში, მისის მშის სხივებით
შეფერადებული ბალი შეაშრნია და, თავისებუ-
რი პირდაპირობით, მასპინძელს სთხოვა მისი მო-
კრეფა. მასპინძელმა შეზობლის თორმეტი წლის
გოგონა გაგზავნა ვლასას სუტყილის დასაკმა-
ყოფილებლად. მხარული ერისმულით გაეჭანა
ბავში ჟუზარმაზარ ხისაგან დავალების დასასრუ-
ლებლად. უცებ ზმურობა შეწყდა. მხარული
სიმღერის მაგიერ ბავშვის გულმგმზარავი წივი-
ლი და სამარისებური სიჩუმე. მყისვე იოგრ-
ბენით, რომ რაღაც უბედურება მოხდა. ბავშვს
ტოტი მოუტყდა, ჩამოვარდა და ხის ძირას გა-
ყოფილებული ლობის საჩხე, როგორც შამფურზე,
წამოიფეო. მთავარი სული ძირს არ დაჰყოლია.
გასისხლიანებულო, დასახიჩრებულო (ხედავი
მიიტანეს სახლში, რამოდენიმე წუთის წინ სი-
ცოცხლით სავსე გოგონას ნაცვლად. წარმოგი-
დგენია, რა ჯოჯოხითი დატრიალდებოდა მის
ოჯახში. და ამის არაპირდაპირი მიზეზი ხომ ჩვენ
ვიყავით! არ იქნა და არ მოხერხდა განსაკუთ-
რებით, ვლასას დაშავება. მასპინძელი იძულებ-
ული გახდა დაშფურებულ მამისათვის მოეხ-
სენებია: ბავში ხომ ასე საშინლად დაიკარგა,
მაგრამ სახლში ორი კაცი ლამის გამოვიდესო.
მამა ჩვენთან გამოცხადდა და გვითხრა: გავიგე
რომ თქვენ ძალიან შეწუხებულხართ ჩემი უბი-
დურების გამო; როგორ გეკადრებათ, განა
თქვენ მაგის დროს და-უფლება გაქვთ? ეს ბავ-
ში, ალბათ ახლა ანგელოზებთან დაფრინავს,
ასეთი ყოფილა მისი წერა. თქვენ კი უდიდესი
საისტორიო საქმე გაქვთ გასაკეთებელი, მას უნ-
და ემსახუროთ, საქართველო უნდა განთავისუ-
ფლდეს ჯალათებისაგან; ჩემ ბავშვს თქვენი ქი-
რიც წაუღია - **ო. ამას ლაპარაკობდა გლეხი,
რომელმაც თავისი საყვარელი გოგონას ცხელ-
ხი სახლში ესვენა და გულში გენიის ცეცხლი
უნთო. „არა ეს ხალხი არ უნდა დაიღუპოს; ამ
უსამართლობის სიმძიმეს დედა-მიწა ვერ აი-
ტანს“-ო პათეტიურად აღმოხდა დიდ რევოლი-**

პ ი რ ო ვ ნ ე ბ ი ს ო ა ვ ი ს უ ფ ლ ე ბ ა

(გაგრძელება *)

აზრის გასაშუქებლათ მოვიყვანოთ ორი ნიმუში: სპენსერი და კანტი.

პირველისათვის საყოველთაო სავალდებულო მოქმედების წარმოშობი ელემენტები ემპირიული ხასიათისაა, მეორესათვის კი იგი წმინდა რაციონალური.

სპენსერი საზოგადოებას ორგანიზმს ადარებს; როგორც ორგანიზმი, „საზოგადოება არის მთლიანობა (entité), მიუხედავად იმისა, რომ იგი გამოკვეთილი ერთეულებიდან (unités discrètes) შედგება“.

საზოგადოება მრავალგვარობას, მცირამ ეს მრავალგვარობა ორგანიული სახესხვაობას; და ამდენათ თვით ეს მრავალგვარობა მთლიანობის წარმოშობია; როცა არა ორგანიული საგანი მრავალგვარ ელემენტისაგან შედგება, ან როცა ამ საგნის სხვადასხვა ელემენტები იცვლებიან, ეს სახეცვლილობა ერთი მეორისგან დამოუკიდებელია, ადვილი შესაძლებელია, რომ საგნის ერთი ნაწილი ისე შეიცვალოს, რომ მან ამ საგნის სხვა ნაწილებზე არავითარი გავლენა მოახდინოს — მაშინ, როდესაც ორგანიზმში თვითეული ნაწილის ცვლილება ყველა სხვებზე მოქმედებს და ყველა სხვებს ჰგულისხმობს.

„ზედმეტია, გვეუბნება სპენსერი, იმის მტკიცება, რომ არსებობს სრული ანალოგია საზო-

გადოებისა და ორგანიზმის შორის: ცხოველის ფილტვების მოქმედების გაჩერება სწრაფვე ფულის ძვირის შეწყვეტას იწვევს: თუ კუჭი მთლიანათ ჰკვეთს თავის მუშაობას, ჩჭარა სხეულის სხვა ნაწილების მოქმედებაც ჩერდება... თვალის, ამ სრულიათ პატარა ორგანოების, დაკარგვა, სხეულის დანარჩენ ნაწილებს თავდაცვისათვის საჭირო ორგანოს მოკლებულათ ხდიან. სწორეთ ასევე, საზოგადოებაში მეტალურგია ჩერდება, როცა მალაჩის მუშები მას ნედლეულსადაც აღარ აწვდიან; როცა ისინი ძაფს და ფართალს აღარ იღებენ“.

ჩვენ შეგვიძლია უყოყმანით დავამტკიცოთ, რომ საზოგადოების ნაწილები ერთმანეთთან დაკავშირებული არიან ისეთივე მყარ-ქსელებით, როგორც ცოცხალი არსის ანუ ორგანიზმის სხვადასხვა ასოები“.

ეს მჭიდრო კავშირი ისეთია, რომ თვითეულის კერძო ინტერესი ყველა სხვების ინტერესებსაც ჰგულისხმობს.

საერთო მოქმედებათა და საერთო ინტერესების შეთანხმება თავისთავათ თვითეულის საქმების ბუნებისაგან გამომდინარეობს;

ეს შეგუება, კერძო და საერთო ინტერესების შეწყობა, ალტრუისტული გრძნობების და აზრების ნაწარმოები კი არაა, არამედ ეგოისტურ ინტერესების შედეგია.

აი მაგალითათ: ადამიანი გამოჩენის თვალსაზრისით ისეთ ხელობას ირჩევს, რომელიც მას მეტ ფულს შემოუტანს; დიდ მოგებას კი ისეთი ხელობა იძლევა, რომელიც საზოგადოების უმრავლესობას უფრო სჭირია;

სწორეთ ასევე ვაჭარიც, განსაკუთრებით ისეთ საქონელს ჰყიდის, რომელიც მომხმარებელს უფრო სჭირია და რომელიც უფრო დიდ მოგებას სტოვებს.

ამრიგათ ხელოსანი და ვაჭარი თავის საკუთარ მოგებას, მხოლოდ და მხოლოდ თავის საკუთარ გამოჩენას ეძებენ; მაგრამ მოგების ეს სურვილი, რომელიც ხშირათ სიხარბედუ და გაუმძღობამდე მიდის, მომხმარებლების საჭიროებათა და სურვილთა დაკმაყოფილებას ემსახურება.

რამდენადაც უფრო დიდია ვაჭრის და ხელოსნის სურვილი მოგებისა, მით უფრო დიდია მათი ცდა კლიენტების, ე. ი., საზოგადოების

*) იხილეთ „მებ. საქ.“ № 10, 11, 12.

უციონერს ელასას, დიხს, ეს-ხალხი არ დაიღუბება. ამდენ კეთილშობილებას, ამდენ თავდავიწყებას საერთო საქმისათვის ექრა წაშლის ექრავითარი დალატი და სულმდაბლობს*).

ვალ.

15-6-1953.

პარიზი.

(დასასრული შემდეგ ნომერში)

*) ეს წერილი სტამბას გადაეცა დასაბეჭდათ 27 ივნისს. პირვანდელ ტექსტში გარკვევით გავალისწინებული იყო ის, რაც კრემლში მოხდა და 10 ივლისს საბჭოთა პრესამ და რადიომ გადმოგვცა: ამიტომ, ვაჭვეყნებთ მას ზოგიერთი ადგილის გამოკლებით. ავტორი.



სხვა წევრების, რაც შეიძლება უფრო კარგათ და უფრო მეტი სისრულით დაკმაყოფილებისა.

ამრიგათ კერძო ინტერესები, ეგოისტური გრძნობები, საზოგადოებრივი ცხოვრების და მთლიანობის ნამდვილი წყაროა: საზოგადოებრივ ინტერესებიდან არაფერს იგამოდის, მაგრამ პირადი ინტერესების დაკმაყოფილება რიკოშტით საზოგადო ინტერესებზე ზრუნვას წაჩნობს.

ლიბერალების აზრით, აქ ნამდვილი ჰარმონიული შეწყობაა: პიროვნული და საზოგადო, ეგოისტური (ჩემი) და ალტრუისტული (სხვისი) ინტერესები ადვილათ ეგუებიან ერთმანეთს.

ამ ორ სხვადასხვა სახის ინტერესთა შეგუება სრულიათ შექანიკურათ, ყოველგვარ წინასწარ განზრახვულ მიზნების გარეშე სწარმოებს: ის, ვინც თავის საკუთარ ინტერესების მიხედვით მოქმედებს, იძულებულია ამავე ეგოისტურ ინტერესების მიერ, რომ იგი საერთო საზოგადოებრივ კეთილდღეობას ემსახუროს და მას შეუწყოს ხელი; ის, ვინც თავის საკუთარ წარმატებაზე ზრუნავს, იგი აგრეთვე საერთო საზოგადოებრივ სიკეთისათვისაც იბრძვის. თავისთავათ აღებული, საზოგადოებრივი ინტერესი ფიქცია, უაზრობაა; იგი კერძო ინტერესების გამომდინარე და ანარეკლია, რაც მის მნიშვნელობას არაფრით ამცირებს.

სულ სხვა გვარია კანტის მოსაზრება. კანტი ასეთ გამაერთიანებელ ელემენტებად გონებას სთვლის.

გონება უნივერსალური ხასიათისაა; იგი ერთია; და ყველას ერთგვარათ მიეკუთვნება; მისი კატეგორიები, მისი პრინციპები, მისი კანონები ყველასთვის ერთგვარია; ისინი ერთგვარათ სავალდებულო არიან ყოველი პიროვნებისა, ყველას დროისა, ყველა ხალხისა და ყველა გარეუბოებისათვის.

და ამიტომ, როცა აღმნიანი გონების პრინციპების მიხედვით მოქმედობს, იგი იქცევა არა როგორც კერძო პიროვნება, არამედ როგორც ზოგადი ადამიანი; მის ადგილას ყველა სხვებზეც მის მსგავსათ იმოქმედებენ.

ამრიგათ საერთო სავალდებულო აქტებისათვის საჭიროა გონების პრინციპების მიხედვით მოქმედება.

კანტი გვიჩვენებს: „იმოქმედე ისე, რომ შესაძლებელი იყოს შენი მოქმედების დევიზი გარეგანი ბუნების საყოველთაო სავალდებულო კანონათ გამოცხადება“. კანტი იმის თქმა უნდა,

რომ ჩვენი მოქმედების დევიზი ისეთივე ხასიათის უნდა იყოს, როგორც ფიზიკური ბუნების კანონები; გარეგანი ბუნების კანონები კი საყოველთაო სავალდებულო არიან და, თუ ჩვენი მოქმედების დევიზიც ფიზიკური სამყაროს კანონების მსგავსი იქნება, ცხადია, ჩვენი აქტებზეც საყოველთაო, სავალდებულო ხასიათს მიიღებენ.

მსგავსი დევიზების მიხედვით მოქმედებას კანტისათვის სხვა მნიშვნელოვანი შედეგებიც მოყვებიან:

ასეთი აქტები გარეგან მოვლენებისგან დამოუკიდებელი არიან და დიდ ღირებულებას იღებენ;


და მართლაც, როცა რომელიმე მოქმედებას მიზნათ აქვს ბედნიერება, სიამოვნება, სიმდიდრე, სახელის მოხვეჭა, ჩვენი მოქმედების ღირებულებად დასახული მიზნის ღირებულების მიხედვით ფასდება: თუ ეს საგანი კარგია, ჩვენი მოქმედებაც კარგი იქნება; თუ იგი ცუდია, ჩვენი აქტიც ცუდი გახდება; და, რადგანაც თვითივე საგანს: სიმდიდრეს, სიამოვნებას, ბედნიერებას თავისებურათ აფასებენ თვითივე ქვეყანაში და თვითივე ენობაში; რადგანაც ერთი და იგივე საგანი შეიძლება ერთი ადამიანისათვის ღირებული იყოს და მეორისათვის კი არა, ასეთი გარეგანი მიზნისათვის დაქირებულნი იქნებოდა აქტიც შედარებითი ღირებულების ზღვას; სწორედ ასევე გამხდებოდა, გაშლილობა, ჯანმთელობა, სიმდიდრე კარგი რამეების; მაგრამ მათი სიკარგე შედარებითია; იგი დამოკიდებულია იმაზე, თუ რა მიზნისათვის მოვიხმართ ჩვენ მათ; თუ ჩვენ ყოველივე ეს ცუდი საქმისათვის გამოვიყენეთ, მათი სიკარგე მით უფრო დიდი იქნება, რაც უფრო დიდია თვითივე საგანის წონა და ღირება.

სულ სხვაგვარია გონების ნორმების მიხედვით მოქმედება; როცა იგი კარგია, იგი კარგია აბსოლუტურათ. თავისთავათ დამოუკიდებლათ იმ ემპირიულ პირობებისა, რომელშიც იმეება აქტი.

ამავე დროს გონების ნორმების მიხედვით მოქმედების დროს თვითიველი ჩვენგანი დამოუკიდებელი, ავტონომიური ხდება.

აქ ჩვენ უნდა გავიხსენოთ, რომ კანტი ადამიანში ორგვარ მოქმედებს ამჩნევს: ემპირიულს და წმინდა გონებრივს.

როგორც ემპირიული ქმნილება, ადამიანი ფერომენტთა მრავლიანობაა; ეს ფერომენტები მი-



ზეზობრივ კავშირთა მთლიანობას და აუცილებელ-
ბლობის გამოხატვას; ამ მხრივ, ადამიანსა და
ფიზიკურ ბუნების შორის არავითარი განსხვავ-
ებები არაა; კანტი მათ შორის სრულს იგივეობას
ხედავს:

„ჩვენ რომ შეგვეძლოს ადამიანის სულში
ისე ღრმად ჩახედვა, რომ გავარჩიოთ ყველა
მისი განმსაზღვრელი მიზეზები, მათ შორის ყვე-
ლაზე უმცირესიც კი, და ამავე დროს ჩვენ
რომ შეგვეძლოს ყველა იმ გარეგან პირობათა
აღნიშვნა, რომელნიც მასზე მოქმედებენ, ჩვენ
შეგვეძლებოდა წინასწარი გავეთვალისწინებოდა,
თუ როგორ იმოქმედებდა იგი მომავალში ასე-
თივე ზედმიწევნობით, როგორც მთვარის
დაბნელების წინასწარმეტყველების დროს“.

ეს იმას ნიშნავს, რომ ემპირიული ადამიანის
მამოძრავებელი კანონები მისთვის გარეგან წყა-
როდან მომდინარეობენ; ისინი მისთვის ჰეტე-
როგენული (ჟეცხო, მისი ბუნებიდან განსხვავე-
ბული) არიან; მათ მიმართ ადამიანი პასიური,
დაქვემდებარებულია, ვინაიდან იგი ამ კანონე-
ბის მიერ განსაზღვრულია; იგი ამ კანონებს
პრემიათა ემორჩილება.

ადამიანიც აღებული, როგორც გონებრივი
არსი, კანონებს ემორჩილება; იმ ფორმალურ
კანონებს და პრინციპებს, რომლებიც ყველა ემ-
პირიული მოვლენათა ჩარჩოა; ჩვენ ვიცით, რომ
ეს ის ჩარჩოა, რომელშიც უნდა გარდატყდეს
ყოველი გარეგანი შთაბეჭდილება, რომ მან ფე-
ნომენის სახე მიიღოს; ეს ის ჩარჩოა, რომელიც
გარეგან შთაბეჭდილებებს წყობას ანიჭებს და
მთლიან სისტემით ალაგებს.

იმდენათ, რამდენადაც ადამიანი გონების კა-
ნონებს ემორჩილება, იგი აქაც დაქვემდებარე-
ბულია; მაგრამ, ჩვენ თუ გავხსენებთ, რომ ეს
კანონები ჩვენი საკუთარი გონების კანონებია;
იმ გონების, რომელიც მთელი თავისი ტოტა-
ლობით თვითეული ადამიანის კუთვნილებას,
მოეხდებით, რომ გონების კანონებისათვის და-
ქვემდებარების დროს, ადამიანი თვით საკუთარ
თავს ემორჩილება; რომ იგი თვითა საკუთარი
თავის კანონმდებელი.

ამრიგათ ადამიანი ერთდროშავე დროს თავისი
თავის ქვეშევრდომიცაა და კანონმდებელიც.

გონების კანონების მიხედვით, მოქმედების
დროს ადამიანი ყოველგვარ, გარეგან, მისი პი-
როვნების გარეშე მყოფ მოვლენებისგან (მიზე-
ზებისგან) დამოუკიდებელია.

იგი ავტონომიური ანუ თავისუფალი ხდება.

„ავტონომია კი ადამიანის ბუნების და ყოვე-
ლივე გონებრივი არსის ღირსებაა“.

ღირსება მხოლოდ პიროვნებას აქვს; საგანს
კი ფასი აქვს, ვინაიდან მხოლოდ პიროვნებაა
ავტონომიური და თავისუფალი.

ადამიანის პიროვნების ღირსება კანტისათვის
ყოველ პირობათა გარეშე მყოფი ღირებულე-
ბაა; იგი აბსოლუტური ხასიათისაა და ამიტომ
იგი საზოგადოებას და კერძო პიროვნებათა მი-
ერს დაცულ უნდა იქნეს.

„იმოქმედე ისე, ამბობს კანტი, რომ პატივი
სცე თვით შენში და ყველა შენს თანამოძმე-
ში ადამიანის პიროვნებას და მოეპყარო მას,
როგორც შენი მოქმედების მიზანს და არა მხო-
ლოდ, როგორც მის საშველებას“.

იმდენათ, რამდენადაც მე თავისუფალი, ადა-
მიანური ღირსების მატარებელი პიროვნება ვარ,
მე უფლება მაქვს;

იმდენათ, რამდენადაც ყველა სხვა ადამიანე-
ბიც ასეთივე ღირსების მქონე პიროვნებებია
არა, მე მათ მიმართ ვალდებულებები მაქვს.

ამრიგათ არის განსაკუთრებული რიტუალი უფ-
ლებათა და ვალდებულებათა, რომელნიც ადა-
მიანს იმ თავითვე ყოველგვარ პიროვნების გა-
რეშე მიეკუთვნებიან მხოლოდ იმ შემთხვევა-
ში წყალობით, რომ იგი ადამიანია.

ასეთ უფლებებს კანტი „თანდაყოლილ უფ-
ლებებს“ უწოდებს.

როცა კანტი ამბობს „ადამიანები თანასწო-
რად არიან“, იგი სწორეთა იმას ჰგულისხმობს,
რომ თვითეულ მათგანს ერთგვარი და მსგავსი
თანდაყოლილი უფლებები აქვს.

რადგანაც ეს თანდაყოლილი უფლებები ადა-
მიანის ბუნებიდან ან, უფრო სწორათა რომ
ესთქვათ, ადამიანის გონების ხასიათიდან გამო-
დინარეობენ; ისინი, როგორც თვით გონება, 1)
უნივერსალური, 2) ობიექტური, 3) აპრიორი-
ლი და 4) აბსოლუტური ხასიათის არიან.

თანდაყოლილი უფლებები ყველა უფლებები
არ არიან; არსებობენ აგრეთვე შექმნილი უფ-
ლებებიც; ხოლო პირველი სახის უფლებები
(თანდაყოლილი) ის მთავარი პირობაა, რომელ-
ზედაც უნდა გაიშალოს ადამიანის ბუნება, შე-
საძლებელი გახდეს მისი თავისუფალი მოქმე-
დება და სხვებთან სამართლიანი ურთიერთობა;

თანდაყოლილი უფლებები არკვევენ, ნაწილ-
ობრივ, ადამიანის ყოფნას (Dasein), ნაწილობ-
რივ კი მის მოქმედებას;

ამ უფლებათა მიხედვით, ადამიანი თავისი



გონებრივი უნარიანობის, თვისი სულიერ გან-
ცდათა, თვისი ორგანოების და, საერთოთ, მთე-
ლი თავისი სხეულის თავისი ჯანმთავლობის და
სიცოცხლის სრულ ბატონ - ბატონთანაა აღი-
არებული;

ყველა ამ დებულებებს ჩვენ საფრანგეთის რე-
ვოლუციის „მოქალაქის და ადამიანის უფლე-
ბათა დეკლარაციაში“ ვბოულობთ.

მუხლი პირველი: ადამიანები იბადებიან და
აჩიან უფლებრივად თავისუფალნი და თანას-
წორნი...

მუხლი მეორე: ყოველი პოლიტიკური ასო-
ციაციის მიზანი არის ადამიანის ბუნებრივ და
ხელშეუხებ უფლებათა დაცვა. ამ უფლებათა
რეალიზი შედის: თავისუფლება, თავდაცვის
განმტკიცება და დიპლომატიის წინააღმდეგო-
ბის გაწევის ნებართვა.

მუხლი მეოთხე: თავისუფლება მივდომარეობს
იმში, რომ ადამიანს შეუძლია გააკეთოს ყე-
ლაფერი, რაც სხვისთვის არაა საზიანო: თვითე-
ული ადამიანის ბუნებრივ უფლებათა ზღვარი
ის უფლებებია, რომელნიც საზოგადოების სხვა
წევრებისათვისაც შესაძლებლად ხდის ამ უფ-
ლებით სარგებლობას; ეს ზღვარი კანონების
მიერ აღინიშნება.

მუხლი მეხუთე: კანონს შეუძლია აკრძალოს
მხოლოდ ისეთი აქტები, რომლებიც საზოგადო-
ებას ენებენ; ყოველივე, რაც არაა კანონის მი-
ერ აკრძალული, დაშვებულია; არავის ძალეს
აიძულოს ეინზე ისეთი რაშის შესრულებისთვის,
რასაც კანონი არ ჰგულისხმობს.

მუხლი მეთერთმეტე: საკუთარი აზრის და შე-
ხედულების სხვისათვის გაზიარება ადამიანის
უფლებათა შორის უძვირფასესი უფლებაა; მა-
შასადამე ყოველი მოქალაქეს შეუძლია თავისუ-
ფლად ილაპარაკოს, სწეროს და დაბეჭდოს გა-
რდა კანონის მიერ გათვალისწინებულ შემთ-
ხევათა, რიცა ვინმე ამ უფლებას ბოროტად
ხმაროს.

მუხლი მეჩვიდმეტე: რადგანაც საკუთარება
ადამიანის წმინდა და შეუცვლი უფლებათა, ვე-
რავის ჩამოართმევნ ქონებას, თუ ამას საზოგა-
დობრივ საჭიროებათა აუცილებლობა არ მო-
ითხოვს; ამ უკანასკნელ შემთხვევაშიც, ეს აუ-
ცილებლობა კანონის მიერ უნდა იყვეს დადას-
ტურებული და მესაკუთრეს წინასწარ უნდა მი-
ეცეს სამართლიანი ანაზღაურება“.

ეს თანდაყოლილი უფლებები ადამიანს იმ
თავითვე ეკუთვნოდენ:

მაგრამ, თუ სამართლის ნაცვლად დედის-
წაზე უსამართლობა სუფევს, ეს იმიტომ, რომ
ადამიანები ივიწყებენ ამ უფლებებს და დეკ-
ლარაციის მიზანიც სწორეთ ისაა, რომ მან წა-
დაუწუმ გაახსენოს ისინი თვითთელ ადამიანს.

ეს დეკლარაცია ასე იწყება:

„ეროვნული ყრუობის სახით ცავრთიანე-
ბულმა ფრანგი ხალხის წარმომადგენლებმა,
რწმენით, რომ ყოველი საჯარო უბედურების
და მთავრობის გახრწნის ერთი-ერთი მიზეზი
ადამიანის უფლებათა დავიწყება ან არ ასრუ-
ლება, დაადგინეს: გაარკვიონ ამ სახეიშო დე-
კლარაციის საშუალებით ადამიანის ბუნებრივი,
ხელუხლები და წმინდა უფლებები, რათა ამ
დეკლარაციას საზოგადოების ყოველი წევრის
წინ მდებარეს, შეეძლოს სათანადო მომენტებ-
ში გაახსენოს მათ მათი უფლებები და მათი
მოვალეობანი...“.

ამრიგად თანდაყოლილ უფლებათა დაცვა,
მამასადამე, პოლიტიკური უფლებათა მინიმუმი,
კანტის და საფრანგეთის რევოლუციის აზრით,
ადამიანის თავისუფლებას მთლიანად უზრუნ-
ველყოფს.

თანდაყოლილ უფლებათა პრინციპიდან გა-
მომდინარე კანონები ნეგატიური ხასიათის არი-
ან: ისინი მხოლოდ იმას აღნიშნავენ, თუ რა არ
უნდა ჰქნას თვითთელმა პიროვნებამ, რომ თვი-
თეული მათგანის თავისუფალი მოქმედება და
ყველა მათგანის ერთად ცხოვრება, ერთმანეთ-
თან სამართლიანი ურთიერთობა შესაძლებელი
იყოს.

თუ როგორი კონკრეტული დამოკიდებულე-
ბათა მრავლიანობა ვაიმოლება ამ უფლებრივ
ჩარჩოში, ამას ეს თანდაყოლილი კანონები არ
ძიობენ; ეს თვით მომქმედ პირთა სურვილზეა
დამოკიდებული.

მას შემდეგ, რაც ადამიანთა ერთად ცხოვრე-
ბის საშუალება, ე. ი. თვითთელ ადამიანის ავ-
ტონომია, უზრუნველყოფილი არიან, ადამიანე-
ბი თავიანთი ძალების ამარა ჩრებიან; ამერი-
დან თვითთელმა პიროვნებამ თავისი საკუთარი
მსჯელობის, გაგების, მოხერხების, უნარის და
საკუთარი ძალის მიხედვით უნდა იმოქმედოს;
იგი კანონის მიერ აკრძალულს სდევნოს ცარი-
შე თვით თავისი საკუთარი მსაჯული და კა-
ნონმდებელია; ამერიდან პირივნება აბსოლუ-
ტურად თავისუფალია და მას არავითარი კან-
ონი არ ჰბორკავს.

სწორეთ კონტრასტია ის, რაც ლიბერალების



სამყაროში ადამიანთა ურთიერთობას პოზიტიურათ განსაზღვრავს.

ამრიგათ, მათი აზრით, ადამიანთა მთელი მოქმედება ორი რაშით განისაზღვრება: უფლებით (პოლიტიკური კანონებით) და ხელშეკრულებით; კანონთა ერთი ნაწილიც ხელშეკრულების ნაყოფია;

ადამიანის ურთ-ერთობის საუკეთესო აგენტ-ტი კონტრაქტია: მხოლოდ მისი საშვავლებით ხერხდება საერთო სამართლიანობის და თვით-ულო კერძო პიროვნების ინტერესების სამართლიანი დაცვა;

აქ დაზიანების შიში იმითაა აცილებული, რომ ხელშეკრულების დადების დროს თვით-ულო მხარე თვისი საკუთარი სარგებლობის თვალსაზრისით მოქმედობს.

„ყოველი ხელშეკრულება ცაცვლა - გამოცვლას, აქ ადამიანს უფრო ის უჩვენია, რასაც იღებს, ვიდრე ის, რასაც იძლევა“, ეკითხულობთ ჩვენ საფრანგეთის 1789 წლის კონსტიტუციის წინასიტყვაობაში; და, როცა ადამიანი თვისი საკუთარი ინტერესების მიხედვით მოქმედობს, იგი თავისი თავის მიმართ სამართალს არას-დროს ღალატობს.

კანტი გვუბნება: „როდესაც ეინმე ისეთ გა-დაწყვეტილებას იღებს, რომელიც სხვას შეეხება, ეს გადაწყვეტილება შეიძლება უსამართლო იყოს ამ უკანასკნელის მიმართ; მაგრამ შეუძლე-ბელია უსამართლო იყოს ის გადაწყვეტილება, რომელიც საკუთარ თავს ეხება“ (რუსოც: (Nul n'est injuste envers lui même).

ამრიგათ, კონტრაქტი სამართლიანია თვით-ულო პიროვნების მიმართ, ვინაიდან იგი თვით-ულის ეკონომიკური ინტერესების გამოხატუ-ლებათ;

კონტრაქტი ორ მხარეს ჰგულისხმობს; მაშა-სადამე თუ; ორივე მხარე კმაყოფილია, კონტრა-ქტების მიერ განსაზღვრული პიროვნებათა ურ-თი-ერთობის მთლიანობაც სამართლიანი და კარგია.

ამრიგათ, კონტრაქტების მთლიანობა პირო-ვნებათა ურთი-ერთობას ჰარმონიულათ აწეს-რიგებს.

„პიროვნებათა უფლებების ცნობა და მათი ურთიერთობის სწორი მოწყობა კი თვით საზოგადოების წესიერ არსებობის პირობების მიგნებას და უზრუნველყოფას ნიშნავს“ (სპენ-სერი).

„საზოგადოების ძირითადი ვალდებულებაა

თვისი წევრების ინდივიდუალობის დაცვა“; პი-როვნების დაცვა იმაში მდგომარეობს, რომ „სა-ზოგადოებამ რაც შეიძლება ნაკლებ შეხორცოს ადამიანი კონტრაქტების დადების დროს და რომ მან ამ კონტრაქტების შესრულება უზრუნ-ველყოფს“.

ამრიგათ, კონტრაქტში უფლებრივი ინდივიდუ-ალისტებისთვის არის თვით-ულო პიროვნების დამოუკიდებლობის და ავტონომიურობის განსა-ხიერება; დამცველი და უზრუნველყოფი თა-ვის-უფლების და თანასწორობის; საზოგადოების წონასწორობის შემქნელი, მისი ნორმალური განვითარების ძირითადი ფაქტორი; კონტრაქტი, ერთი მხრივ, კერძო პიროვნებეთა მთავრადი და სამართლიანი მოზავე და მომრიგებელია, რა-დგანაც იგი თვით-ულოს მხოლოდ იმას მიუსჯის, რაც მან დაიმსახურა და რაც მას სურს; მეორე მხრივ, იგი პიროვნებათა და საზოგადოების შო-რის არსებულ ანტაგონიზმის მოშპობი, მათ შორის ჰარმონიის დამსყარებელია;

ლობერალეში პიროვნებისათვის განსაკუთრე-ბულ პოლიტიკური უფლებათა მინიჭების შემდეგ მას ცხოვრებისათვის ზრდილის და, მისგან გა-მომდინარე, კონკურენციის ამარა სტოვებენ;

სპენსერი ამბობს: „ყველა სოციალური მო-ღენეში ბიოლოგიურ კანონთა ნაწარმოები არ-იან“-ო.

ბიოლოგიური სამყაროს მთავარი კანონი კი მათი გაცემით, შეჩვენეს, კონკურენციის, ურთი-ერთშორის საყოველთაო ბრძოლის კანონია.

მიუხეით პიროვნებეში ერთმანეთზე, ნუ ჩაე-ჩივით მათ საქმეებში, laissez faire, და შედე-გი საუცხოვო იქნება: სუსტი დამარცხდება, გა-დაშენდება ან მოკვდება, ძლიერი კი დარჩება.

აქ უფლებრივი ინდივიდუალისტები, ყოველ შემთხვევაში, მისი დიდი ნაწილი, ანარქისტულ ინდივიდუალისტებს უერთდებიან: ინდივიდთა შეჩვენის და მეტ უზარის მქონეთა გადარჩენის პრინციპები მათი ძირითადი კანონია.

მათთვის ისევე, როგორც ანარქისტულ ინდი-ვიდუალისტებისათვის, უსამართლობა და საზო-გადოებრივი ცხოვრების სრული გაშრუდება იქ-ნებოდა, რომ ვინმე ამ ბრძოლის შედეგების შე-რბილიებას და მის აცილებას შეეცადოს.

აქ განსხვავება მხოლოდ იმაშია, რომ ანარქო-ინდივიდუალისტები მთლიანათ ძალას, უნემს ძალას იყრდნობან და ერთმანეთისაგან ფიზი-კური და სულიერ ძალას არ არჩვენ.

მაშინ როდესაც უფლებრივი ინდივიდუალი-



სტუმრებისათვის ძალა უფრო სულეციური ძალაა: ცოდნა, ჭკუა, გამოცდილება, გამჭვირახობა და სხ.

იმისთვის, რომ პიროვნებას შეეძლოს გამოაშკაროს ის, რაც მართლაც ღირებული და ძვირფასია, საჭიროა, რომ იგი სხვათა ფიზიკური თვითნებობისაგან დაცულ იქნას; მხოლოდ ამ შემთხვევაში მოახერხებს იგი თავისუფლად მსჯელობას და თავისუფალ, ძალდაუტანებელ გადაწყვეტილებათა მიღებას.

სწორედ ამისთვის შემოაქვთ მათ ცნება თანდაყოლილ უფლებებისა და პოლიტიკურ უფლებათა მინიმუმისა.

მას შემდეგ კი, რაც თვითივე პიროვნებას ასეთი უფლებები სტატუსით საზოგადოების მიერ უზრუნველყოფილი აქვს, პიროვნებათა ბუნდი მთლიანად ცხოვრებისათვის ბრძოლის და მეტი უნარის შექონება გადაარჩენის ანუ შერჩევის პრინციპებს მიენდობა.

აქ უკვე აღარავითარი ნორმა აღარაა; თვითივე პიროვნება აკეთებს იმას, რაც მას სურს და რაც მას თავისი ძალების მიხედვით შეუძლია.

ინტერვენცია ამ ბრძოლაში, ჩარევა სუსტთა დახმარების მიზნით; ამ კანონის შეუზღუდავად და დაუნდობელი, ყოველგვარ გრძობას მოკლებული მოქმედების შერბილების ცდა ლიბერალებს ისევე საშიშროებს და სახიფათოთ მიიჩნიათ, როგორც ანარქისტული ინდივიდუალისტებს.

ანარქისტული ინდივიდუალისტები ყოველგვარ რეგლემენტაციას და საჯაროდებულ ნორ-

მებს ყველა დარგებში უარყოფენ: პიროვნება მათთვის აბსოლუტურადაა თავისუფალია.

უფლებრივი ინდივიდუალისტები კი მთითხოვენ რეგლამენტაციას პოლიტიკურ სფეროში და სრულს თავისუფლებას სოციალური-ეკონომიური დარგში. პოლიტიკური თანასწორობა იმას ემსახურება, რომ თვითივემ პიროვნებებმა დაუბრკოლებრივი და მთლიანად გამოაშკარავოს ყოველივე, რასაც მისი ბუნება იტყვის.

და რადგანაც აღამიანები თავიანთი ბუნების მიხედვით არა თანასწორი არიან, ცხადია, პოლიტიკური თანასწორობა სოციალურ-ეკონომიურ თანასწორობას შობს;

ეს უკანასკნელი პოლიტიკური თანასწორობის გაბრუნდება კი არაა, არამედ მისი ბუნებრივი და ლოგიკური შედეგია; ლიბერალები მას ესალმებიან და მას სასურველად სთვლიან. აქ მათთვის წინააღმდეგობა არ არსებობს; იგი უფრო მეტ უნარის შექონება გადაარჩენის პრინციპის სწორი გამოძახილია.

თვით კანტი, აღამიანთა და ხალხთა თანასწორობის უდიდესი დამცველი, გვეუბნება:

„აღამიანთა ასეთი საყოველთაო თანასწორობა, ე. ი., თანასწორობა სახელმწიფოს ქვეშევრდომთა შორის, სრულიად კარგათ თავსდება აღამიანთა უდიდეს უთანასწორობასთან საკუთრების რაოდენობის და ხარისხის თვალსაზრისით“.

ლიბერალების მთავარი შეცდომა სწორედ აქაა.

(გაგრძელება იქნება)

ა. შათირიშვილი


ქ ა რ თ ვ ე ლ ი ქ ა ლ ი ჩ ვ ე ნ ს მ ა ტ ი ა ნ ე შ ი

(გაგრძელება *)

სწავლა - აღზრდის საქმეს ძველთაგანვე ფრიად საპატიო ადგილი ეკრია საქართველოში. და ამ დიდ საქმეს, როგორც ესთქვიით, უმთავრესად ქალები უძღოდნენ. იმის შესახებ, თუ რას აწავლიდნენ ქალს თუ ვაჟს ძველ საქართველოში, ჩვენთვის მდიდარი ცნობები დაუტოვეს არაილ მეფეს. ეს საღმთო და საერო „ზნეობანი“ მრავალია; მოვიგონოთ ზოგიერთი ამათგანი: „შესაყრილობა, ალერსი, სიმღერა და დასდებელი, გაჩივება, სუფრის დროს მის-მის

აღაგს დასხმა, ზილის დაჭრა, ბეჭის გათლა, ზმა და ზუმრობა, სიცილი, საკრავი, ზაპი, ცეკვა, სამაი, ჯუბანა, ტანსა და ფეხსა გაწყობა, მხედრობა, ჯირითობა, მცურაობა, მოტიროლობა, გლოვა, ჭადრაკის მოერა, ნაზდისა, ბადეს სროლა, ნაღირობა, ისრის თლა, ხმლის ცემა, ცოდნა ტოლიან, მეგობართან, უმცხოვთან, მასპინძლობა, სტუმრობა, მეგლისობა, პურადობა, რაზმობა, ჩაცმა-დახურვა, მიხერა-მოხერა, შესვლა-გამოსვლა, მიწოდება და ბაასი და სხვა მრავალი. ამას ერთვის მწიგნობრობის და სწავლა მეცნიერების სხვა და სხვა დარგი: ფილო-

*) დასაწყისი იხ. „მებ. საქ.“ № 14.



სოფია, მკურნალობა, რიტორიკა, ღრამბტიკა, ქვეყნის ზომვა, ვარსკვლავთრიცხვა, სიტყვის შეთხზვნა, ხელოვნება და ყველაფერი ის, რაც ახასიათებდა ძველ სერძულ სიბრძნეს და მკოდნეობას, არჩილის აზრით უნდა ესწავლა ქართველ მოზარდსაც.

ეს ტრადიცია მწიგნობრობის და საერთოდ ეროვნულ კულტურისა ჩვენს ოჯახს და ქართულ ქალს მეცხრამეტე საუკუნეშიდაც გადმოუტანია ეროვნულ სახელმწიფოს დაკარგვის შემდეგ. ქართული ოჯახი შეიქმნა ეროვნული სწავლა-განათლების გამავრცელებელი და ამ ოჯახის დამადგენელი, შემნახველი ისევე ქალი დარჩა. საკმარისია გაეცხნათ პატივცემული პრიოფ. ექვ. თაყაიშვილის მიერ „საქართველოს სიძველენში“ გამოქვეყნებულ „მზითვეის წიგნები“ და ამავე საგანზე შესაფერისი ადგილები ი. გრიშაშვილის წიგნიდან: „ლიტერატურული ბოჰემა“, რომელში ჩვენ განცვიფრებაში მოვიდეთ.

ამ „მზითვეის წიგნებში“ თითქმის მუდამ თვალსაჩინო ადგილი უჭირავს—ქართულ ხელთნწერებს და წიგნებს, რომელთა შორის თითქმის მუდამ გვხვდება: „ვეფხისტყაოსანი“, „დავითანი“, „არჩილისი“, „თქემურსანი“, „ვახტანგისანი“ და სხვ. ეს იყო განძი, რომელიც ქალს ოჯახიდან თან უნდა წაჰყოლოდა, ჩვენაც მოვსწრებივართ იმ დროს, როცა ჩვენი თავმოკრული დედები არა მარტო ამა თუ იმ აფორიზმს წარმოსთქვამდნენ საზოგადოებაში, ან სუფრაზე შოთას, ბესიკის, გურამიშვილის ან ბარათაშვილის ნაწერებიდან, არამედ ხშირად მთელს თავს პოემისას, ან ლექს ზეპირად იტყოდნენ. ქალის განათლების შესახებ ცნობებს მრავალ მოგზაურთა ნაწერებშიაც შეხვდებით.

„წერა-კითხვა საქართველოში“, სწერს პრიოფ. ცავარელი, „გავრცელებული იყო კერძოდ ქალთა წრეებში, სულერთია, რა კლასისაც არ უნდა ყოფილიყო ეს ქალი და ამაში გლიხის ქალებიც იყვნენ. ამ ქვეყანაში, საცა მამაკაცობა მთლიანად ჩაბმული იყო განუწყვეტილ ომებში, მხოლოდ ქართველი ქალები წარმოადგენდნენ განათლების მცველებსა და გამავრცელებლებს. პირველ გაკვეთილებს წერა-კითხვისას ბავშვი აქ დედისაგან იღებს.

„კაბ. იაზიკოვი“—განაგრძობს პრიოფ. ცავარელი—რომელიც მეტრისმეტე საუკ. იყო საქართველოში, თავის შენიშვნებში ამ საგანზე სწერს: „რაიცა შეეხება კეთილმოხილ ქალთ, თითქმის ყველა ამათა იციან წერა-კითხვა,

ყველა ამ ქალებს ასწავლიანო...“ და სხვა. ქალთა მწიგნობრობაზე ჩვენში ბევრი ცნობები მოპოვება. ჩვენ ამაზე აქ ცერა შეგვირდებით. დამატებით მხოლოდ ერთ ადგილს ადვინშნავთ ილიას ნაწერებიდან: ის სწერს: „... ზოგი წიგნს გასართობედ კი არ ჰკითხულობს, არამედ იმისთვის, რომ გაიგოს რამე ახალი ანუ ძველი კარგი და მშვენიერი, ჰკითხულობს გულმოდგინებით და სიამოვნებით. ამ ხარისხის მკითხველებს ეკუთვნიან ქართველი ქალები, მომეტებულად ისინი, რომლებმაც არ იციან რუსული კითხვა. დიდება და პატივისცემა ეკუთვნის ამ ქალებს. რო სწორედ ვინაგარიშოთ, იქნება საქართველოში ქალი წერა-კითხვის მკოდნე მეტი აღმოჩნდეს, ვიდრე კაცო,—მეტადრე სოფელში; რომელს თავადისა და აზნაურისშვილის ოჯახში ნახავთ ქალსა, რომელმაც არ იცოდეს წერა-კითხვა, მისევე“ იპოვით წერა-კითხვის მკოდნე გლეხკაცის გასათხოვარი გოგოსა იმ სოფელში, საცა ცხოვრობენ თავად-აზნაურის ქალები, იმთ აქეთ ხოლმე ყოველთაის სურვილი გოგოების სწავლისა; არ ეტყვიან უარსა თუ გლიხება მოაცალა თავისი შვილი. სადიდებელი და პატივისცემი არიან ეს მასწავლებელი ქალები... რომ არსა იმურებენ და უანგაროდ ასწავლიან... აჭარაშიაც თითქმის ყოველი ქალი თურმე ქართულ ასოებით თათრულს სიტყვებს სწერსო...“ და სხვ. ხშირად შეხვდებით ცნობებს იმაზე, რომ სამაჰმადიანო საქართველოში ძველი, ქართული ტრადიცია, მხოლოდ ქალთა ღვაწლით შენახულა; ისინი შეიღებს ქართულ დედ-ენას ასწავლიან და მათი ძველ ვინაობას აცნობენ; და თუ ქართული სიტყვა კიდევ შენახულა ძველს შესხვთში, შორეულ ფერეიდანში და სხვაგან, საცა გამაჰმადიანებული ქართველები სცხოვრობენ, ეს მხოლოდ ქართველი ქალს გადაურჩენია და დაუცავს.

მაგრამ ეს ქალები არა მარტო სწავლა-განათლებას უნერგავდნენ მოზარდი თაობას, არამედ ამაღლებდნენ და ასეტაკებდნენ მთელ მისს ბუნებას, წერთიდენ მათ უმაღლეს გრძობას: სამშობლოს სიყვარულისას, თავდადება-მოთმინებისას, ღმობიერებისა და გამკითხაობისას, გარჯა-მხნეობისას და ყველა იმ შესანიშნავ თვისებათა, რითაც დაჯილდოებული ყოფილა ძველად ქართველი ქალი. ზოგი ამ თვისებათაგანი ასე მხატვრულად გარდაგვიშალა იმე უკდაგმა ილიამ თავის „ოთარინანტ ჭკრივში“.

ქართველი დედის გარდა ამ მაღალ თვისებებს



უნერგავდა ჩვენ მოხსარდ თაობას მისი გამდევ-
ლიც. არა მგონია, რომ რომელიმე ერში ყოფი-
ლიყო ისე სიყვარულის მხარავანდელით შემკუ-
ლი გამდევლის სახელი, როგორც ეს საქართვე-
ლოშია. ესენი არიან ნამდვილი ბურჯნი ოჯა-
ხისა, მისი უმაღლესი კანონი და უანგარო მო-
რალი. სწორედ ეს „ძიძაობა“ და „გადილობა“
თავისებურ კეთილშობილების დაღს ასვამდა
ქართულ ოჯახს. ეს თქმაც ცალკე კვლევის და
შესწავლის საგანია და აქ ქართველი ქალის სა-
ხე, უეჭველია, წარმტაცის მშვენებით გამოაშუ-
ქებდა. ცოტა რამ მაინც უნდა ვსთქვათ ამ ღვა-
წლმოსილ, მაგრამ უჩინარ ქალებზე, „გამდევ-
ლის“ ინსტიტუტი თავიდანვე განვითარებული
იყო ქართულ მოწინავე წრეებში. „ქართლის
ცხოვრებიდან“ ჩვენ უკვე ვავეცანით ზოგიერთ
აღმზრდელ ქალებს. მათი ტრადიციები ქართულ
სასახლეებს ბოლომდე გამოჰყვიათ. ერეკლეს და
გიორგი მეფის სასახლეში სასძლოს განათლებას
და მისი მალაქა ზნეობის გაწვევით მხოლოდ
ქალებს ანდობდნენ. მოვიგონოთ კიდევ ერთი
მაგალითი პლ. იოსელიანის შრომიდან: „გიო-
რგი მეცამეტე“.


ერეკლეს სურვილით ბატონიშვილი გიორგი
„ჯერეთ რვისა წლისა, ძველთა დროთა ჩვეუ-
ლებისა გამო დანიშნეს ჩერქეზთა ბატ. გიორგი-
ოძისა ქალზე... განმსწავლებლად ქალისა წარუ-
ვლინეს მას თავადი შარიდან შალიკაშვილი, რ
მოახლე ქალი, და აზნაურიშვილის ქვლივიძისა
ქვრივი ნინო დედაკაცი მწიფნობაში, ძლიერი
სიტყვითა და მრძენი ჭკუითა, დიდი ცხენოსანი
იყო, მრძენებდა თვით მეფე გიორგი და გუ-
ლოვნობისათვის მისისა დიდათ პატივს სცემ-
დნენ მას სასახლეშიო.

იგივე ისტორიკოსი მცირე ადგილას აღნიშ-
ნავს სასახლის გამდელთა დიდ მორაქულთა და-
ლას და განსაკუთრებულ ავტორიტეტს: „მეფი-
სეული და დედოფლისეული“ სწერს ის, „სასა-
ხლისა გამდელნი, ესრეთ იყვნენ ძლიერნი, რომ
მეფესა და დედოფლსა ხადოდენ ტყვედ...
თვით მეფისა ძენი და ასულნი და მეფისა სძალნი
ძრწოლადდენ მათგან...“ ასეთი დიდი გავლენა და
პატივისცემა გამდელთა ბოლომდე შეუნარჩუნე-
ბიათ. მგოსან აკაკის „თავგადასავალში“ ვკით-
ხულობთ: „გამდელი, როგორც ოჯახის ერთგუ-
ლი ნამსახურა და მოჭირახულე, დიდ პატივში
იყო, ხმა ჰქონდა საოჯახო საქმეში და ბატონი-
შვილების გამოწერდაც მის ხელში იყო; ეს ყო-
ველ ოჯახში საზოგადოთ ძველთაგანვე მიღე-

ბული იყო“. ამ გამდელთა თავდადება, უან-
გარო ზრუნვა ოჯახის წევრობისათვის და თავგან-
წიორულება მხატვრულის სიძლიერით განსჯი-
ველებია ილიას ერთ თავის დაუთმთავრებელ მო-
თხრობაში: „უღელტეხილი“. აგვიწერს რა სათ-
ნო გამდელ, თითისა, ის ამბობს: „ეს ის განდევ-
ლთაგანი იყო, რომელიც დაივიწყებდა თავის
საკუთარს თავსა, საკუთარ ბედნიერებას გრძნო-
ბასა, ოჯახსა, ნათესავობასა და თავს დასდებდა
იმ ხალხისათვის, რომელსაც ბედი დაუნიშნავდა
და რომელშიაც უღრტინელად დაასრულებდა
თავის ყოფასა და ცხოვრებას უქმროდ და უსა-
ხლ - კაროდ... მე ურყოლა მომდის ხოლმე, რო-
ცა მომაგონდებიან ის საკვირველი, ერთგულე-
ბით განთქმულნი, იმ თავის თავისათვის დაკარ-
გულნი დათრგუნვილნი, ამომშრალნი, ცოც-
ხალ - მკვდარნი ადამიანები“-ო... გულამოკენე-
სით ასკვნის ილია. გამდელნი რომ ძველთაგა-
ნვე ღრმად პატივცემულნი და მალაქა საფეხუ-
რზე აყვანილნი ყოფილან, ამის საუკეთესო სა-
ბუთია ჩვენი საიმამე შოთა, რომელმაც ასმათის
სახით გამდელის უკეთილშობილესი თვისებანი
ვალაშალა; ნესტან - დარეჯანის მხნეობა, ერთ-
გულეობა, გამძლეობა და სხვა მალაქა თვისებანი,
რაც ქართველ ქალის უმაღლეს იდეალად
რჩება, მას მისმა გამდელმა ასმათმა შთაუწერ-
ვა. ეს ქალი თითქმის ჩრდილშია და მისი აქტი-
ობა ისე გაჩვენებთ არ გამოსჩანს პოემში, მა-
გრამ ნამდვილი გმირი, თავდადებული და თავ-
განწირული მისი აღზრდილის — ნესტანის
ბედნიერებისათვის, ხ ს ს ნ ი ს ა თ ვ ი ს და ტა-
რიელთან შეერთებისათვის სწორედ ასმათია;
და ბოლოს, როცა მრავალ ჭირთა გადახდის შე-
მდგომ, „ტარიელსა და ცოლსა მისსა მიხვდა მათი
საწაღელი“, ამ ქალის - გამდელის ღვაწლი
ლირსეულად იქმნა დაფასებული: „ინდოთ მეფე
უბრძანებდა ასმათს მისსა შეკვდომილსა:

„რაცა შენ ჰქმენ, არ იუქნია არ გამზრდელსა,
არცა ზრდილსა;
აწ ინდოეთს სამეფოსა მეშვიდედას, ერთსა
წილსა
ზედა დავსვამ, შენი იყოს გემსახურებდი
ტკბილი ტკბილსა...“.

მაგრამ გამდელისათვის სახელმწიფოს მეშვიდედ-
ზე ვერა გაიცვლება სიყვარული ნესტანისადმი. მი-
სთვის აქ ქვეყნიურის სიძლიერე და მორჩმულო-
ბა წარმავალია; ეს ქალი ბოლომდე უანგარო
რჩება და ტარიელს მოახსენებს: „თუ ხმელეთი



სრულად მქონდეს, ვერცა მაშინ გავეყრები...
 ექვსი გავესწირავ ჩემგან ზრდილსა, არცა სხვაგან
 ვიარები...“. ამ თვისი აღზრდილისათვის სიცოცხლის
 განწირვაზე უფრო მაღალი და სახელგანთქ-
 რო გამოდგომისათვის არ არსებობს რა და ასმა-
 თი ინდოთ მეფეს მიუტევს: „მონობისა უკეთე-
 სი რამც ევიშოვნო; რამც ევიჭნოო...“.

ჩვენ ვნახეთ, რომ მეთორმეტე საუკუნის გა-
 მდელ ქალის მთავარი თვისებები ქართველ
 ქალს ბოლომდე შერჩენია და „გამდღენი“ ას-
 მათი, ისახარი და სხვანი კლიტერიატურიდან კი
 არ შექმნილან და მოვლენებულან, მათი ძირები
 „ქართლის ცხოვრებიდან“ ჩვენის ძველის სინა-
 მდვილის ქალების დასიდან მოდის.


ჩვენი მათინე სხვა, ღირსეულ თვისებებსაც
 და დასახურებას ქართველ ქალისას ვვაუწყებს.
 ეს ქალი მუდამ ლმობიერი, მოწყალე და შე-
 მარისგებელი ყოფილა. ის მუდამ იღწვოდა
 მშვიდობიანობისათვის და ზავის გადასაჩრე-
 ნად... ხშირად უდიდეს განსაცდელის დროს,
 როცა მამაკაცს ყოველი იმედი დაჰკარგვია და
 ზედი ქვეყნისა ხმალისათვის მიუღწვია, ქალს
 მაინც გამოუჩნახავს მოთმინების და შერაცხვის
 გზები და ხშირად ღირსეულადაც დაუმშვიდე-
 ბია ვნებათა ღელვა, იქნა რომ საფრთხეს უმზა-
 დებდა. საამისო მაგალითებიდან ჩვენ მხოლოდ
 ორიოდღეს მოვიყვანთ „ქართლის ცხოვრებიდან“:
 როცა თამარს მეფემ გვირგვინი დაიდგა, მრავალი
 წარჩინებულები მას განუდგნენ, თბილისში დი-
 დმა არეულობამ იჩინა თავი, მდგომარეობა
 ფერიად გამწვავდა, თამარს ტახტიდან გადაყენე-
 ბით ემუქრებოდნენ...“. მაშინ „თამარს მშვიდმა
 და მშვიდობის მადიებელმა წარავლინა ორი სა-
 ბატონი დიოფალნი, რომელ იყო ერთი ხვამა-
 გი ცოლექ, დედა ქართლისა ერისთვისა რატისი;
 მეორე კრახეი ჯაყელი, დედა აწ მყოფთა სამ-
 ძივართა, უმზადან ფიცით მინდობა და სხვისა
 აღარავისა ბრალბა...“. ამ ორი წარჩინებულ ქა-
 ლთა საქმეში ჩარევამ არეულობას მალე ბოლო
 მოუღო და მშვიდობა ჩამოაგდო. ასეთი დიბ-
 ლომატიური მაღალნიჭიერებით და ლმობიერე-
 ბის ქადაგებით მოაქციეს მათ განმდგარი დიდე-
 ბულები.

ხშირად ქალის მუთამდგომლობით და საქმეში
 ჩარევით მეფე ვისმეხე განრისხული „განუტე-
 ვებდა მოწინააღმდეგეს“ და ხანდისხან უდიდეს
 დანაშაულსაც კი აპატიებდა; ასე, დედოფალი
 ნესტანი შეეცდარება მეფეს სვიმონს — შეუცვა-
 ლოს სიკვდილის განაჩენი მუხრან ბატონს, ბა-

რძიმ ამილახვარს, და ქნის ერისთავს ელიზ-
 ბარს; შეიწყალა მეფემ ეს ვედრება და განუტე-
 ვაო, ამბობს მათინე, 1634 წ. თეიმურაზ I-მა
 ბართაშვილთ ლალასათვის სამინელის სიკე-
 დილით დაემუქრა, მაგრამ საქმეში ხვარაშან
 დედოფალი ჩაქრია, მეფეს პატიება სთხოვა და
 თუამუშარაზმაც ეს თხოვნა შეიწყნარაო. შემდეგი
 საამისო მაგალითიც: მეფე ვახტანგ მეხუთეს
 კახეთის ტახტის წასართმედად ებრძვის ერეკლე
 პირველი; ვახტანგმა მწვავე ბრძოლების შემდეგ
 ის დაამარცხა, მას შური უნდა ეძია და მაშინ
 „დედამან ერეკლესამან მიუგზავნა მეფეს ვედ-
 რება, რათა განუტევოს ფაჩულად; უსმინა მე-
 ფემ და განუტევა ფაჩულად და წარვიდა ერე-
 კლე დეშეთსა“. ასეთივე ლმობიერება გამოსთ-
 ხოვა ვახტანგ მეექვსეს მეუღლემ. რუსუდანმა
 თვის ძეს ბაქარს, რომელსაც სწადდა საპასუხი
 იესე მეფისა, კათალიკოსი დომენტი თვალების
 დათხრით დაესაჯა. რუსუდანის თხოვნა შეწყ-
 ნარებულ იქმნა და მშვიდობა ხელახლად ჩამო-
 ვარდა.

გადავიდეთ ქართველ ქალთა ბრძოლაზე სა-
 ქართველოს ცალკეულ ნაწილების გაერთიანე-
 ბისათვის. როგორც ვიცით, 921 წ. აფხაზეთ-
 ინერეთში გამეფდა გიორგი, ძე კონსტანტინესი,
 რომელსაც დიდათ სწადდა ქართლ-კახეთის
 შეერთება. გიორგიმ თვისი მეორე ვაჟი ლეონი
 ქართლის ერისთავად დანიშნა და მას კახეთის
 დაქვეა უბრძანა. 955 წ. ვაჩუღაიცივლა გიორ-
 გი და ლეონმა ქართლის გამგებლად დანიშნა
 თვისი ჭკვიანი და ნიჭიერი დაი გურანდუხტი,
 მეუღლე გურგენ მეფისა, რომელსაც ეპყრა:
 თრიალეთი, ჯავახეთი და სასტარათიანო. აი, აქ-
 ედან იწყება და ბრწყინვალედ ვითარდება საქა-
 რთველის გაერთიანების საქმე გურანდუხტის
 შვილის, ბაგრატის, შემდეგში ბაგრატ მესამედ
 წოდებულის, გვირგვინის ქვეშ. ამ უდიდესი
 საქმის წარმართვაში დედოფალ გურანდუხტს
 გვერდით უდგას შექანიშავი მამულიშვილი,
 მებრძოლი ერთობილ საქართველოსათვის იოა-
 ნე ნარუშიძე. ამ ორთა დაუღალავ ცდასა და
 მხნეობას მიეწერება, რომ გურანდუხტის ვაჟი
 იშვილა ტაო-კლარჯეთის მეფემ, დავით კუ-
 რატპალატმა. განსაცვიფრებელის ჭკუით და
 წინდახედულებით მოქმედებენ გურანდუხტი
 და იოანე მარუშიძე.

მთელი მათი ყურადღება ეხლა მიპყრობილია
 დავით კურატპალატის ძლიერების და გავლენ-
 ის გამოყენებისათვის და მათის მეცადინეობით



გურანდუბტის ძე, ბაგრატი ბოლოს, ვითარცა ნაშვილები დაეთისა, ხდება მემკვიდრე ტაო-კლარჯეთისა, შენდევ თრიალეთის, ჯავახეთისა და საბარათიანოსისა და ამასთან ქართლისაც, სა-ცა თვითონ გურანდუბტია მმართველად. შემდეგ გურანდუბტის და მარუშიძის რჩევით, დავითმა შეიღებულ ბაგრატი იმერეთის მემკვიდრედაც გამოაცხადა. ამნაირად მოხდა ქვეყნის გაერთიანება ბაგრატ მეფისა გვირგვინის ქვეშ და ამ უდიდეს ისტორიულ საქმეში მარუშიძესთან ერთად გურანდუბტს დიდი დამსახურება მიუძღვის. მაგრამ ამით არ თავდება ამ ქალის ღვაწლი. ბაგრატი, ხედავს, რომ მას იმერეთში დიდი წინააღმდეგობას უწყევნენ და რომ აქ მისი მეფობა ნომინალურია; ამიტომ ის სთხოვს დედას, გადმოვიდეს იმერეთში და დაეხმაროს მართვა-გამგეობის საქმეში. გურანდუბტი ქართლს, სტოვეებს და იმერეთში შეიღეს გვერდით ამოუდგება.

მაგრამ მალე საქართველოს გაძლიერებას დიდი მტერი აღმოუჩნდა; ეს იყო ბიზანტია, რომელმაც მისი დაშლა მოინდომა და მტრები მრავალ ფხით შეეუსია. ქვეყანა სისხლისაგან იცლებოდა და ომებს ბოლო აღარ უჩანდა. აი, აქ უცილო იყო ომისა და იარაღის გარდა, სხვა გზა: მოწინააღმდეგე დიდ ძალასთან ასე თუ ისე შეგუება, საჭირო იყო მოქნილი და ქვეყანი დიპლომატიით — მტრის გულის მოგება. და ეს მძიმე ნოვალეობა ეხლა მეორე ქალმა, ბაგრატ მეოთხეს დედამ, მარიამმა იუკარა და ბრწყინვალედაც შეასრულა. მან კონსტანტინოპოლს გასწია რომანოზ მეფესთან და მტკიცე მეგობრობის და ზავის ნიშნად ბაგრატიონისათვის ცოლად სთხოვა ელენე, ასული იმპერატორი ვასილისა და ამასთან — ბაგრატის კურატპალატის ხარისხზე აყენა; იმპერატორმა ეს თხოვნა დააკმაყოფილა და მარიამი დიდის პატივით 1032 წ. გამოისტუმრა.

გაგრძელდა ერთობილ საქართველოსათვის ბრძოლა. ბაგრატ მეოთხემ სომხეთი დაიკავა და აქ, ლაშქრობისას მას მარიამიც თან ახლდა. ეს უკანასკნელი შეეცადა სომხეთის წარჩინებულნი და მასთან მთელი იერი დაერწმუნებია, რათა დამორჩილებოდნენ საქართველოს მეფეს და მისთვის ქრისტიანული ერთგულების ფიცი დაედოთ.

საბერძნეთი ეხლა ბაგრატ მეოთხეს გაძლიერებას შეუშინდა და ლიპარიტ ორბელიანი შეუჩინა მას დასაუბლოურებლად და დასაშლელად.

ამ ზვიად და ძლიერ ფეოდალის გასატეხად საჭირო იყო საბერძნეთის ნდობის ხელახლა მოპოვება და ლიპარიტისადმი მათი დანმარების აცდენა. ეს მძიმე მისიაც მარიამმა თავს იღო და 1050 წ. ხელმეორედ გასწია კონსტანტინოპოლს და თან წაიყვანა თვისი შვილი ბაგრატი იმპ. კონსტანტინე მონამხმა ესენი თუმცა დიდის პატივით მიიღო, მაგრამ უკან აღარ გამოუშვა. აი, ამ კრიტიკულ მომენტში მეორე ქალმა, ბაგრატ მეფის მეუღლემ დიდი მხნეობა და გამჭრიახობა გამოიჩინა ჟერკ ლიპარიტის მოსატეხად და სამეფოს გადასარჩენად: ამ ქალმა მოახერხა გასამღეა ი ფეოდალის დაყოლება და შერიგება; ხოლო ბოლოს ეს სამეფოს მტერი ერთგულთა შეწევნით კიდევ შეიპყრო; ქვეყანა მალე დამშვიდდა და ამის შემდეგ, ბაგრატ მეფის და მისი დედის მარიამის უკან დაბრუნებაც შესაძლებელი გახდა. საქართველოს მთლიანობა განმტკიცდა.

მალე მისი გავლენა და ძლიერება უმაღლეს საფეხურამდე ავიდა. მის შემდეგ, რაც მას მეფეთ თამაში ნოველინა, თამარმა ხომ, როგორც მემატიანე ამბობს “მისი აღმშქრდელისა და მასწავლებლის რუსუდანისაგან ისწავლა სიბრძნე ყოველგვარი და „იქმნა უბრძენეს ბრძენთა“. თამარმა „სიმშვიდითა დავითანოსათა, სიბრძნითა სოლომონიანითა, სიმხნითა და საურავისა დღესისა ხვალისა არ მიგდებისა, იპყრო ზღვით პონტისით ზღვამდე გურგანისა და სპერიდგან დაბრუნდამდის და ყოველი კავკასიისა იმერნი და ამერნი ხაზარეთამდი და სკვითთამდი...“. თამარმა ააყვავა და განამდიდრა ქვეყანა, ააშენა და განაძლიერა მისი ყოველი კუთხე: ეკლესიებით, მონასტრებით, ციხეებით, ხიდე-გზებით, სარწყავებით და უამრავის სკოლებით: ის არა მარტო საქართველოში ეწეოდა ამშენებლობას, არამედ: საბერძნეთში, პალესტინაში, სინაის მთაზე და სხვა, აუცხო ადგილებსაც. გაბრავლდენ ყველგან ქართულ კულტურის ცენტრები და საქართველოს გენიალობის ლამპარი გაჩაღდა. ამ ჭეშმარიტად „ოქროს ხანაში“ მოხდა სრული გამოვლინება ეროვნულ შემოქმედებისა: გაჩნდნენ დამსახურებულნი მწიგნობარნი, სახელმწიფო კაცი და მწერალნი, რომელთაც მიუწოდებელი დარგი შეჰქმნეს ქართულ ხელოვნებისა — ქართული მწერლობა, განამდიდრეს ქართული ენა და სხვა... თამარის სახელთან დავაწირებული არიან ჩვენი სიამაყე: შოთა, ჩახრუხაძე, შავთელი და სხვა მრავალი, რომელთა

ეჭვთიმი უზუამდებელი

საქართველოდან დაგვიანებით ამბავს მოუღწევია, რომ ჩვენი მეცნიერი და მკვლევარი, არქეოლოგი და ისტორიკოსი, აკადემიკოსი და პროფესორი ექვთიმე თაყაიშვილი აღსარულდება. ჭეშმარიტად, არ გვეგულება ისეთი ქართველი, რომელიც ამ ცნობაზე მძიმედ არ ამოიხრება...

ჩვენ არ ვიცით, ცინ და რამდენად შესძლებს ამ ჩვენი ერის ღირსებისათვის უანგარო მუშაის და მებრძოლის შეცვლას, რადგან კარგად ვიცით, რომ დღევანდელ მეცნიერებში ბევრი ვერ შეეცლება ქართულ სიძველეთა შესწავლაში ამ ფუძემდებელს.

დღეს ასეთ მოღვაწეთ საზოგადოებრივი სიყვარული და თანაგრძობა, მატერიალური და მორალური გამხნეება თან მიჰყვება, ხოლო მათ უკან მიმდევართა და მოწაფეთა კადრები დგანან და მეცნიერის მიერ აღძრულ პრობლემებს, აშუქებენ და „ღრღინა“ და ხელმძღვანელს ახალ მასალას აწვდიან... მის კათედრის წინ ერის მოაზროვნე თაობა იჯგუფება... მაგრამ ეს ასე არ გახლდათ ამ 60 და 65 წლის წინად, როცა ექვთიმემ ძველ ქართულ კულტურის პატრონობა და ჭირისუფელობა იკისრა. „აზუჩად მივდებდენ, ხშირად დამცინოდენ კიდევ და ეს გრძელდებოდა, ციდრე საეთნოგრაფიისა. საზოგადოება არ დააჩხიდაო“... ამბობს ი. იმხანად იწერებოდა პიემები ძველ საქართველოს სიმდიდრე - რაინდობაზე, იყო აღზნება და ვატაცება, მაგრამ ყველა ამას აკლდა „საფანელი“, აკლდა მეცნიერული ანალიზი და გამოვლინება... არ სჩანდა უტყუარ საბუთებით გახსნა გარდასულ დიდ საქმეთა და ყოფათა. გვეყვანდენ თითო-ორიოლა ისტორიკოსნი და მკვლევარნი, რომელნიც ვახუშტისა და თეიმურაზ ბატონიშვილთა ვხას აგრძელებდენ, იყვნენ

მკვლევარნი ქართულ სიძველეთა, ჩვენი ისტორია და მწერლობა სიყვარულით რომ გარდაგვიშალეს (მარი, ბროსე, დ. ბაქრაძე, ა. ცაგარელი და ზოგი სხვანიც), მაგრამ ჩვენი წარსული კულტურის ძეგლები ისეთის მოცულობით და მკვეთრობით ჯერ არავის გამოეჩინა, როგორც ეს ექვთიმემ შესძლო. ჭეშმარიტად, მან ნათელჰყო, თუ რა მიუძღიან უმეგალითო ენერჯიას და თავგანწირულ შრომას ამჟამად მივიწყებულ, მაგრამ სახვალის დიდი საქმისათვის. ის ასარუხი „ქართულ ცხოვრებისა“, რასაც ექვთიმე დაეფლა, იმხანად თითქმის სულ მიტოვებული იყო, „ჩვენი ინტელიგენცია“, სწერს თაყაიშვილი, „ერთობ გულგრილად უტყუროდა ქართულ საკულტურო ნაშთებს და თავს არ იწყებდა მათი შეგროვება - გამოკვებისათვის. ამ გულგრილობამ დიდძალი პირველხარისხოვანი ძეგლები დაგვაკარგინა, რაც მამებს თავიანთ ძველ ოჯახებში დაგროვილი ჰქონდათ, შევიღებმა დაჰკარგეს“...

დიდმა გულის ტკივილით, მაგრამ დაუძლეველი ენერჯიით და უტყუი ნებით ავიდა ექვთიმე მიტოვებულ სადარაჯოზე და მაშინვე პირველი ფუძე დაუდო ერის წარსულის შესწავლას და ამით ქართულ „ვალახულ“ და დაკნინებულ ვინაობის აღდგენა იყო

და ამ ეროვნულ კათედრიდან სიძველეთა და დარღვეულ პალატთა ამამტყველებელი, ექვთიმე მებრძოლად და უნიდაგოთ ასწავლიდა: „ქართული სულიერი, გონიერი და მატერიალური კულტურა რთულია, მრავალმხრივია და ბევრ რამეში მეტად თავისებურია. იშვიათია პატარა ირი, რომელსაც ასეთი მდიდარი ძველი კულტურა ჰქონდეს; ამ კულტურაში გადაარჩინა ქართველი ერი მოსაბაბა ეამთა ვითარების აბობოქრებულ ქარტყილისაგან, მისცა უნარი სიმტკიცისა, გამძლეობისა და ყოველი ჭირის გადატანის. ვინც ამ კულტურას არ იცნობს, ის არასოდეს არ იქნება ნამდვილი ქართველი, ჭეშმარიტად ქართული სულის მატარებელი... მას მოეღოს გადაგვიჩება, თუ ის უკვე გადაგვარებული არაა...“


აი, როგორ დაუდებდა ეს ქართული ძველების, ნანგრევების და საფლავთა წარწერების გამაცოცხლებელი, „ქართული საქმის“ წმიდანი — ექვთიმე ფუძემდებელი.

ის ერთი-ორიოლა ვერა ჩვენი საკულტურო

შემოქმედებას, საწმენდაროდ, ჩვენამდე არ მოუღწევია. თამარის უდიდეს ღვაწლს, რასაც მისი შესანიშნავი ისტორიკოსი ასე მომხიბლავად აღგვიწერს, ჩვენ აქ მეტად ვერ შეგვხვით. ეს საგანი მრავალმხრივ შესწავლილია და გამოუქმებული. ეს ყოველმა ქართველმა უწყის და ჩვენ ამას ვერა მივუმატებდით.

თამარა პაპავა.

(დასასრული შემდეგ ნომერში)



საქმიანობისა, რაიც „წერა - კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების“ გვერდით ჩაისახა, უცვლელად ექვთიმეს მაღლიან ხელოთ ქმნილა. აქაა საეკლესიო და სხვა მუზეუმები, საისტორიო და საეტიკოგრაფიო საზოგადოება და ბოლოს ყველა ამ წამოწყებებს ხომ ღირსეულად აგვირგვინებს ქართული უნივერსიტეტი. დიდი უმრავლესობა იმ ძეგლებისა, რომლებიც ამ მუზეუმს ამდიდრებენ, დიდი უმრავლესობა იმ ხელნაწერთა, რაიც იქ თავმოყრილია და რის ირგვლივ დღეს გაცხოველებული მეცნიერული კვლევა - ძიება სწარმოებს, თვითონ ექვთიმეს მოძიებულო, შეძენილი და მიტანილია... მასვე იყუთვნის პირველი მეცნიერული გაშუქება ამ უამრავ ძეგლთა, და ეს „დადგენა“ და გაშუქება ჩვენმა მკვლევარებმა თითქმის, ყოველთვის უდავოდ გაიზიარეს.

წლებით ზანდაზმულმა, მავრამ სამშობლოს სიძველეებზე ჭაბუკურის უნით შეეყარებულმა, კოჭლმა კაცმა გასაოცარის მხნეობით ზან იტლით, ზან ცხენით, უფრო ზმირად კი ფეხით მრავალჯერ მოიარა ძველი და ახალი საქართველო და მისი სიძველენი ვრცლად აღწერა.

ამ „ექსპედიციებში“, რომლებიც უფრო იმპროვიზაციად ითქმის, მას თან ახლდენ ერთი-ორი, რომელიმე ადგილობრივი მცხოვრები, რომლებიც უფრო გზა - კვალს და მიზანთან ადვილად მისაყვლილ ბილიკებს იცნობდენ. ხშირად ეს „ასისტენტი არქეოლოგისა“ გახლდა რომელიმე მოხელე, მამასახლისი, ან როგორც ექვთიმე იტყოდა „პატივცემული უეზნდი ნაჩაღნიკი“, ან „პრისტავი“.

ზან არქეოლოგთანვე ასე მუდამ განუყრელია ფოტოგრაფი ერმაკოვი მრავალის „პოლსტინკებითა“, ზოლო მთელ ამ ექსპედიციას მფარველობს ზატონი „პაპეჩიტელი“ ლოპატინსკი, ან რომელიმე დიდი მოხელე, რომლის ხელქვეითი იყო ექვთიმე, ვითარცა მასწავლებელი და ისპექტორი გიმნაზიისა...

ამ „ექსპედიციებმა“ ფასხნეს საქართველოსა ჯერ უცნობი ძეგლები და მრავალი ნაშთი ჩვენი მატერიალური კულტურისა აამეტყველეს.

ნამდვილად რომ ვსთქვათ, მთელი ეს „ექსპედიცია“ გახლდათ ექ. თაყაიშვილი: მოგზაური, ამწერი, გამზომი, მპოენელი, შემქმნელი და ან ძეგლთა მეცნიერულად გაშუქებელი. ის იყო ნამდვილი მჭედელი და ხერომოდვარი, რომელიც დიდ ეპოქებს კვლავ ალაღებდა წარწერების და ორნამენტების ფრაგმენტებიდან.

ამ გზით გადაბა და ახლად შეუსხველა მან გამაჰმადიანებულ საქართველოს ვილაიტეტები: დედა სამშობლოს და ქართული წარსულის დიდება იქ ამეტყველა.

უკვე ემიგრაციაში მყოფმა, ამ 17 წლის წინ ექვთიმემ დასწერა: „კვენხაში ნურგინ ჩამომართმევს, თუ იტყვი, რომ მთე წილად მხედა სხვებთან ერთად ჩემი სუსტი და მცირე თავისუფალი დრო სპეციალურ საპედაგოგიო მსოღეწეობიდან ვადანაჩრენი, მთლად შემეწირა ქართული საისტორიო და საკულტურო საგნების და მასალების შეგროვებისათვის, ცნობაში მოყვანისათვის, აღწერისა და გამოცემისათვის... შეგროვილი დიდძალი მასალა დაკულია ჩვენს მუზეუმებში, მცირე ნაწილი გამოცემულია, ხოლო ერთი ნაწილი მასალისა თანა მაქვს და გამოუცემელი რჩება. საქმე კი საშურია: დრო მიდის, მე მივიწურე აღსასრულისაკენ, „ადამის ტომთა წესთა“ და ჩემს შემდეგ ამ მასალას თავს ვერავინ გაართმევს“...

აი, ამ მასალის ბედი აფიქრებდა მსუდამ მსცოვან მოხუცა...

რამდენჯერ გაუხსნია ჩვენთვისაც არა პორთფელი, არამედ მოზრდილი ჩამოდნები სავსე ხელთნაწერებით, ნახაზებით და სურათებით... და მის თვალებში ცრემლები კრთოდენ იმის შიშით, რომ ამ მასალის გარჩევა, დალაგება და გამოცენა არავის ძალუძს, რომ ეს საქმე მხოლოდ მან უნდა გააკეთოს, თორემ ამ უამრავ ექსპედიციასთა შედეგები და ურყევი დოკუმენტები ჩვენს ქვეყანას საშუალოდ დაეკარგება. „მე თანა მაქვს“, სწერდა ის, „სხვათა შორის შესანიშნავი სახურითი - მოძღვარო ძეგლების გეგმები სამუსულმანო საქართველოსი და მრავალი ფოტოგრაფიული სურათი, მათ შორის მსეთი პირველხარისხოვანი ძეგლების სურათები რომელნიც დღეს საშუალოდ მოსპობილია და მათზე მხოლოდ ჩემი აღწერილობა და სურათებია დარჩენილი. ამათ გამოცემას მპირდებოდენ რ დიდ ალბომად, მაგრამ ეხლა ამაზე ოცნებაც მეთია. მარტო აღწერილობათა ტექსტი შეადგენს 2.000 გვერდს... აქედან ადვილად შეგვიძლია წარმოვიდგინოთ ამ შრომის მოცულობა, რის გამოცემა ასე საშური და საჭირო იყო.

ამ დიდი საქმიანათვის უნდა მთელი ერი ფეხზე დამდგარიყო, რადგან ოსმალეთში დღეს ამ საამაყო ძეგლების კვალიც კი გააქრეს... ასე აღმოიფხვრა იქ ძველი ქართული სული და სახის ნაშთები. მაგრამ საბედნიეროდ ექვთიმეს

ხელთ ჰქონდა იმ ადგილებში გადაღებული სურათები ქართულ ძეგლთა და წარწერათა და ამ საბუთს აწ ევლარაგითარი ძალა ველარა გააქრობდა.

მაგრამ ამ საშუალო საქმის გაკეთება ემიგრაციაში მან იერ შესძლო, არ იყო საამისო თანხები, ხოლო თუ თითო-ორიოლას ამისი საშუალება მოეპოებოდა, სამწუხაროდ, მას საამისო შეგნება და კულტურა აკლდა, და „ადამის წესით მიწურულმა“ მოხუცმა არჩია საქართველოში დაბრუნება, რათა ეს ძვირფასი მსახლა ქართულ უნივერსიტეტის და აკადემიის დახმარებით საბოლოოდ დაემუშავებინა და გამოეცა. ჩვენ იმედი გვაქვს, რომ ამ წლებში მან ეს შესძლო და იმ ფუძეს, რაის ჩვენი სიძველეების შესწავლას მან დაუდო, ამ უკანასკნელ ნაბიჯით და შრომით მან კიდევ მეტი მოცულობა და სიმდიდრე შესძინა; ასე განაჯა მისმა წმინდა მოვალეობის ქრძობამ, ძველმა ქართულმა სინიდიხმა და მან გადასდგა ის ნაბიჯი, რაიც მისებრ დიდ პატრიოტისათვის ადვილი არ იყო. აკი მან აქ, ემიგრაციაში დატოვა მისთვის ყველაზე უფრო ძვირფასი განძი, საფლავი საყვარელი თანამგზავრის და მეუღლის—ნინოსი. მას უმხილა მან იდუმალი წრახვები და ძვირფასმა მეუღლემ ექვთიმეს გზა დაულოცა. აბა, ვინ გაბედავდა და საყვედურს აკადრებდა ჩვენს დიდ მეცნიერს და პატრიოტს ამ სასოწარკვეთით და ერის სიყვარულით ნაკარნახევ ნაბიჯისათვის...

დღეს მეტად ნაადრევია ამ დიდ მუშაზე, რომლის სახე და ჭკვიანი თვალები ძველ ქართულ ფრესკების გაცოცხლება იყო, რაიმე საფუძვლიანის თქმა და შეფასება... ამას დიდი მუშაობა და მისი უამრავი ნარკვევების შესწავლა უნდა უძღოდეს. ჩვენ გვჯერს, რომ ამ „საშურ და საჭირო“ საქმეს მისი მეგობრები, ქართული მეცნიერები, ღირსიულად დაავიკრებენ, და მის გრძელ და ნათელ გზას სიყვარულით შეისწავლიან და ასახავენ. ჩვენ გვჯერს, რომ მისი დიდი შრომები: „მოამბეში“, „ძველ საქართველოში“, „საქართველოს სიძველეში“, „არქეოლოგ. საზოგ. შრომებში“, საოლქო სამზარუნველოს „კრებულებში“ მხარეთა და ტომთა აღსაწერად“ და სხვაგან, საცა გაბნეულია მისი დიდი აღწერანი და გარჩევანი წერა-კითხვის საშოგადობების მდიდარი ხელნაწერთა, არქეოლოგიური მოგზაურობათა შესახებ მოხსენებანი

და სხვ. მისი მიმდევრების მიერ ერთად გამოიცემა და ეს იქნება მისი დიდი ძეგლის კურთხევა.

ექვთიმე, როგორც ყველამ უწყის, პოლიტიკური ნოლვაწეც იყო, მისი პარტიის პირველი რიგის დამამყვანებელი, დამფუძნებელი კრების თავმჯდომარის ამხანაგი, მაგრამ ეს, რასაკვირველია, მთავარი არ იყო. მთავარი ის გახლდათ, რომ მან საძირკველი ჩაუყარა ჩვენი წარსულის მეცნიერულ შესწავლას, მისი ძეგლების შეკრებას და განხილვას და ამით ფუძე დაუდო ჩვენი ძველი ზუროთმოძღვრების, ლიტერატურის და ისტორიის მეცნიერულ გამოვლინებას. ამით იქცა ის ექვთიმე „ფუძემდებელად“, რომელსაც ერმა ექვთიმეს მთაწმინდის ახლოს საპატრიო ადგილი მიუჩინა.

ჩვენი წარსულის მკვლევართ ქართველთა და უცხოელთა უხვი და უღვევი მსახლა დაუტოვა ამ ფუძემდებელმა, რასაც ვერავინ გვერდს ველარ აუვლის და რაიც აროდეს ამოიწურება, ისე, როგორც არასდროს არ დაშვრება მისი ხსენება ქართველობაში.

აკაკი პაპავა.

პროფ. ექვ. თაყაიშვილის გარდაცვალებას ტფილისის გახეთ „კომუნისტში“ მიძღვნილი აქვს ვრცელი წერილი. იგი აფასებს განსვენებულის დიდ სამეცნიერო და პედაგოგიურ დარგში მოღვაწეობას და ასკვნის: „მართალია ექვ. თაყაიშვილს, წარსულში ჰქონდა პოლიტიკური ნეცდომები, მაგრამ, უკანასკნელ ხანებში მან შესძლო ამის გამოსწორება“—ო. მოსკოვის ტფილისის ფურცელი გაურბის ამ „წარსული შეცდომების“ დასახელებას და სკდილობს განსვენებულის პიროვნებაზე და მოღვაწეობაზე მდებალი სპეკულიაციით გაამართლოს ოკუპანტების გაბნეული „მოღვაწეობა“ საქართველოში, მაგრამ ქართველმა ხალხმა კარგად იცის, რომ ის, რაც კომუნისტებს „შეცდომად“ მიჩნიათ, იყო და დარჩება განსვენებულის უდიდეს დასამსახურებად ქართველი ერის ბრძოლაში დამპყრობელთა წინააღმდეგ, ხოლო თუ ბოლოხანებში მოხუც პროფესორს რაიმე „გამოასწორებები“—ეს ჩვეის ჩვეულებრივ ხერხებს მიეწერება და ექვთიმეს წარსულთან არავითარი კავშირი არა აქვს.

რედ.





ახალი ლოზუნგით

შორეულ არგენტინაში, ქართველთა თაოსნობით გაბედულად წამოიჭრა ეს ახალი ლოზუნგი, რაზედაც გვინდა ცოტა რამე გაუწყობო.

აქაური მთავრობის პატრონატის ქვეშ იმყოფებიან სხვადასხვა ქვეყნიებიდან გადმობეჭვილი ეროვნული ემიგრაციები, რომელთაც საშუალება უძლევათ თავისი ზრახვები და იცნება თავისუფლად გარდაშალონ.

ეს ნაციონალური ორგანიზაციები ხშირად შერთავენ საკუთარ სადამოცხს, მოხსენებებს და ზეიმებს, რომლის დროს თვითიველი საკუთარ კულტურას აჩენს და აცნობს დამსწრეთ საკუთარ ისტორიას, პოლიტიკურ წარსულს და მისი ქვეყნის ტრადიკული ბედს ბოლშევიზმის უღლის ქვეშ.

ამ ეროვნულ აქტებში, რა თქმა უნდა, ყველაზე უფრო საყურადღებოა ამათი დამოუკიდებლობის დღეების აღნიშვნა. „ზოგი ჭირიც მარცხებულია“-ო ამბობს ჩვენი ხალხი. თუ არა ჩვენი დღევანდელი მდგომარეობა, განა მოიცილდა უცხოეთის ამა თუ იმ ეროსმეილი იმისთვის, რომ გულდასმით მოესმინა ჩვენი წარსული? და განა ჩვენ კი დიდ ინტერესებს ვიჩენდით რაუკეთის სხვადასხვა კუთხეების ერთა ვინაობის შესასწავლად, რომ სხვა, უფრო შორეულ ერებს თავი გავანებოთ...

დღეს კი სულ სხვა სურათი იშლება. ქართველების წარმომადგენელს, უკრაინელთა, ან ლიტველთა, ან ბალარუსთა, ან სლოვაკთა და სხვადასხვა ეროვნებთა ქრებაზე განსაკუთრებული ყურადღებით იმშენენ. ჩვენი შორეულისა და ახლო ისტორიული წარსულითა და ბრძოლებით დაინტერესებული არიან სხვა და სხვა ერების შვილები, იწერენ შენიშვნებს, იღვივიან კითხვებს, რომ შემდეგ სწორი ცნობები მიაწოდონ საქართველოს მდიდარ წარსულზე, მის კულტურულ და პოლიტიკურ გზებზე, თავიანთ მკითხველთ. მათ კარგად იციან, რომ დღევანდელმა ხანამ, საშინელმა მონობამ და ბოლშევიზმის ექსპანსიამ ყველანი ერთად შეგვასხეულა და ერთ ტაფაში მოქცეულთ, ერთი მისწრაფება და ლოზუნგები ჩაგვიქრავა.


ეს ლოზუნგები, რასაკვირველია, მუდამ ერთისა და იმავე მიზანს ემსახურებიან: ყველა ჩაგრულ ერთა განთავისუფლების გზებს დაეძებენ წითელ იმპერიალიზმის უღლიდან. ჩვენი

ერთობის და ბრძოლის გზებზე იკედება ახალი იმედი — ყალიბდება ახალი ლოზუნგი.

ასეთ ახალ ლოზუნგად ქართველთა წარმომადგენელმა ბ. აკ. პაპავამ ამ ბოლო ხანებში წამოაყენა ლოზუნგი „მეხუთე ძალისა“, რომელიც უნდა ემსახურებოდეს არა მარტო რევუას გამხრწნელ „მეხუთე კოლონის“ ძალებისას, რაშედ გამოდიოდეს საქვეყნოდ, როგორც ვექილი და ქომაგი, პატრონი და მებრძოლი ჩაგრულ ერებს ინტერესებისა.

28 ივნისს მოხდა ოფიციალური გახსნა არგენტინის „უკრაინელი დემოკრატიული გაერთიანებისა“, რომელმაც მიიღო მთლიანი წერილები მთელი ქვეყნიდან, მასვე მიესალმა სხვა და სხვა ერების წარმომადგენელი. შაგრამ არც ერთი სიტყვა არ ყოფილა ისეთის დიდის ყურადღებით მოსმენილი და გაანალიზი, როგორც ქართველთა წარმომადგენლის. მას აუდიტორიის დიდის აღტაცებით შეხვდა და რამდენიმეჯერ შეაწყვეტინა სიტყვა, რომელიც უფრო მოკლე მოხსენება იყო უკრაინის და საქართველოს ისტორიის პარალელებიდან. ეს მოხსენება ცალკე უნდა გავაცნოთ მკითხველს, მხოლოდ ეხლა ჩვენ გვინდა მისი სიტყვა - რეზიუმეს შევებოთ, რითაც მისი სახით ქართველთა ემიგრაციამ აქტუალური ლოზუნგი გადაასრულა დაპყრობულ ერთა ბანაკში.

მან აღნიშნა, რომ მძიმე კირთებ ქვეშ გაერთიანებული ერები დღეს ერთ მონოლიტურ ძალას წარმოადგენენ და ეს ძალა არა მარტო მისი დიდი რაოდენობითაა მთელი ქვეყნისათვის ანგარიშ გასაწევი, არამედ მისი იდეურა და მორალური სიძლიერითაც, თუ კაცობრიობას სრული გაკოტრება და ბარბაროსთა წინაშე კამიტულაცია არ უწყვიო, მან დიდი ყურადღება უნდა მიაქციოს ამ დღევანდელ ერების კავშირს. ესენი დღეს გაერთიანებული დგანან და წარმომადგენენ ახალ ტიტანურ ძალას, **მეხუთე „მპყრობელობა“-ს** („დეჩაფა“), რომელიც დემოკრატიის დაპირების განადგებას მოითხოვს. ამ მოთხოვნის ძირები ვერა კიდევ ვილსონის თოთხმეტ პუნქტთანაა გადასმული; და როდესაც დღეს ევროპა და ამერიკა სამთა შეხვედრაზე და შემდეგ „ოთხ დიდთა“ კონფერენციისაზე ლაპარაკობენ, ეს „მეხუთე მპყრობელობა“ (მცირე ერთა კავშირი) მათ საწართლიანის და ძლიერის მოთხოვნით მიმართავს: არავითარი



გ ა უ გ ო ნ ა რ ი ს ა ქ ც ი ე ლ ი

ქართულ ემიგრაციაში დღიდან მისი ეულოზად გაბნევისა, ბევრი საღანძღავი სიტყვა თქმულა და დაწერილა. მხოლოდ უნდა ითქვას, რომ ეს იყო კერძო პირთაგან და არა რომელიმე საზოგადო-ეროვნულ ერთეულთაგან. ისეთი სიბინძურე და სისულელე კი, და მასთან ორგანიზულად შესისხორცებულო საქციელი, რომელიც ერთმა ჯგუფმა ქართველობისამ ქალაქ მიუნხენში ჩაიდინა, იგარეთ წოდებული „ქართული დემოკრატიული კავშირის“ სახელით, არა მსმენია და ვერც წარმოვიდგენდი.

ჩემს წინ დევს ორი „დოკუმენტი“ ხსენებული კავშირისა. ერთი ქართულად და მეორე რუსულად დაწერილი. ისაც ქართულ დოკუმენტს ლანძღვა-გინების მახვილობა აკლია, ის შევსებულის რუსულში. ეს აიხსნება ალბათ იმით, რომ მეტი შთაბეჭდილება მოეხდინა, სადაც რუსული დოკუმენტია შეტანილი. ის პირი კი, რომელსაც წარედგინა ხსენებული დოკუმენტი, გახლავთ ბატონი მელგუნოვი ი. წ. საკოორდინაციო ცენტრის თავმჯდომარე, რომ ბ. მელგუნოვი და მის გარშემო მოყრილი რუსობა ამ დოკუმენტს გამოიყენებს და ის უხვად უკვე სარგებლობს რუსული გავლენის გასამტკიცებლად საკოორდინაციო ცენტრში ეროვნული ფრთის საზიაროდ, ამას მტკიცება აღაჩი უსაჭიროება.

(ქართველ საზოგადოებას მოხსენება, რომ ამერიკულ კომიტეტის ინიციატივით დაარსდა საკოორდინაციო ცენტრი ბოლშევიზმის წინააღმდეგ ფსიხოლოგიურ ბრძოლის საწარმოებლად. მიზანი საბატიო და მისასალმებელი! ამ

ცენტრში წარმოდგენილი არიან ერთი მხრით რუსული ფრთა და მეორე მხრით არა რუსული. რუსობამ მელგუნოვის მეთაურობით დღიდან ცენტრის დაარსებისა მიზნად დაისახა ამ ორგანიზმში სრული გაბატონება, მისი „რუსულ სამზარეულოდ“ გადაქცევა, როგორც ეროვნულმა ფრთამ ასეთი ცდას მოაწრებულად უწოდა. რასაკვირველია, ასეთ მზაკრულ განზრახვას გადასაკვირველია, ასეთ მზაკრულ განზრახვას გადაჭრით შეებრძოლა ეროვნებათა ფრთა ქართველი წარმომადგენლობის მეთაურობით. გაჩაღდა ბრძოლა, თვით ხსენებულ ორგანოს წიაღში, რომელიც ამ უკვე რვა თვეა, ისაც გრძელდება და მკაცრ ხასიათს იღებს. ამ ბრძოლის შედეგზე დამოკიდებული შესძლება თუ არა არა რუსული ფრთა დაარჩენას ამ ორგანიზმში, თუ მიატოვებს (და შეუერთდება იმ ეროვნულ ძალებს, რომელნიც არი იზიარებენ რუსობასთან თანამშრომლობას იმ სტატუტის ნიადაგზე, რომელიც მიღებული აქვს საკოორდინაციო ცენტრს). საზედნეროდ ქართველთავე მეთაურობით დაარსდა ეროვნებათა ბლოკი, რომელშიც შევიდნენ: უკრაინელითა, ბელორუსითა და კავკასიის ოთხივე მხარის წარმომადგენლები. ამ ბლოკმა საკოორდინაციო ცენტრში არა რუსული ფრთის პოზიციის გასამაგრებლად განსაკუთრებული შემოწანდუმით მიმართა ამერიკულ კომიტეტს, რათა გამოსწორებული იქნას ის შეუსაბამობა საკოორდინაციო ცენტრის სტატუტისა, რომელიც ხელს უწყობს საერთოდ ეროვნული ძალების მონაწილეობის მიღებას და ამავე დროს აფროხებს საერთო ფრონტის შექმნას.

შებვედრები და კონფერენციები არი იქნებიან ნაყოფიერი და ყველა მათი დადგენილებანი ქვიშაზე ნაშენები დაარჩებიან, ვიდრე ამ „ოთხ დიდს“ არ მიემატება „მეხუთე დიდი“ — დენილ ერთა წარმომადგენელი!...

ჩვენ არ გესურს ტრიბუნალის კარებში ველოდოთ ოთხთა განაჩენს... ჩვენ უნდა მონაწილე გავხდეთ ჩუნი ბედის გამოჭედვისა. ჩვენ ბევრი სისხლი დაედვარეთ, რომ უბრალო მოწმებად დოკტორთ საკუთარ მომავალს.

ჩვენ ვართ დიდი ძალა და მოვითხოვთ: გზა ამ მეხუთე ხელმწიფებას და საბატიო ადგილი „ხუთთა შეხვედრაზე“

ეს იყო სახალი ლოზუნგი, რომელიც გულში

მოხედა ყველას. სცენიდან ჩამოსვლა არ ცალკეს ორატორს; მთელი პრეზიდენტი ავიდა სცენაზე და დიდი ოვაციები გაუმართა ბ-ნ აკ. პაპავას, და ყველა მის ცოცხალ ლოზუნგს იმეორებდა:

„ადგილი მეხუთე ხელმწიფებას“.

მთელი აუდიტორია მოლიმარე სახით შემოგვიქცერის ქართველთა, რომელნიც უკრაინელითა დემოკრატიულ გაერთიანების აქტს დაესწრენ. ნაცნობი და უცნობი ყველა ხელს უწყობს დამსწრე ქართველებს და უსურვებს ჩვენს სამზობლოს განთავისუფლებას და გამარჯვებას.


ასეთი ბრძოლა, როგორც თვით საკოორდინაციო ცენტრის წილში, ისე მის გარეთ ექთნაირ ნაყოფს იღებს. ამერიკული კომიტეტი და მისი მეთაური აღმირსალი სტივენსი და რწმუნდენ რა, რომ საქირთა რსლაც შეთანხმება ორ მებრძოლი ფრთათა შორის, მიწანწეწონილად დაინახეს, მოწვეული იქნას საერთო თათბირი, სადაც წარმოდგენილი იქნება ორივე მხარის — რუსობის და არა რუსობის — კვალეფიციტური ორგანიზაციები. ბრძოლა ვადავიდა ამ სახით უკანასკნელ სტადიაში. მთელი ემიგრანტული პრესა შეკურებს ამ ბრძოლას, სადაც ეგახება ერთი მხრით რუსობის პოზიცია, მეორე მხრით არა რუსთა და აი სწორედ ამ დროს ერთი ჯგუფი ქართველობისა, იმის მაგიერ რომ დაეხაროს ეროვნულ ძალებს, მის მთავარ მეთაურობას ქართველი წარმომადგენლობის სახით, სასიკვდილოდ უკანიდან მახვილს სცემს ზურგში, რითაც ობიექტიურად უადვილებს რუსობას ლელოს გატანას. რათი სჩადის ეს ჯგუფი ქართველობისა ასეთ საქმეს? მხოლოდ იმიტომ, რომ მასაც სწადის საკოორდინაციო ცენტრში მონაწილეობა. რა უფლებით—იკითხავს მკითხველი. ეს უფლება და პრეტენზია ვერ ერთი ის გახლავთ, რომ მათ ასე უნდათ და კიდევ, რომ მათ დასარსებული აქეთ „ქართული დემოკრატიული კავშირი“. და მეორე ასეთი კავშირები და უფრო ძლიერებიც, ხომ სხვაგანაც არიან: საფრანგეთში, ამერიკაში და სოგენტინაში. რატომ ისინი არ აცხადებენ ამ გვარ პრეტენზიას? იმიტომ რომ მათი სწამთ ქართული ეროვნული დისციპლინა. ეს დისციპლინა კი მოითხოვს ჩვენს დღევანდელ მდგომარეობაში, (უცხო მხარეს ლტოვილობაში), ქართული ეროვნული მთავრობის გარეშე თათვის მოყრას, რა შესუსტებულიც კი არ იყოს მისი პრეზიდენტის ნოე ქორდანის გაარდაცვალების გამო. თუ სადავო გვაქვს ასეთი ხელმძღვანელობათან, ეს ჩვენი შინაური საქმეა, ქართულ ფარგლებს არ უნდა სცილდებოდეს ეს დავა, მით უმეტეს რუსულ წრეში არ უნდა გადავიდეს. ეს არის მეორე მხარე ყოველი ქართველისათვის საეულიდებულო ქართული ეროვნული დისციპლინისა. ივინც ამას არღვევს, თვის უნებურად ქართული საქმის პოზიციას დიდ ზიანს აყენებ და მტერს ახარებს.

აი ეს უბრალო ჭეშმარიტება დაფიწყებია ქართველთა ერთ ჯგუფს მიუხედავად. საწუხარო და საეალალო ის არის, რომ ამ ჯგუფს, რომლის უმრავლესობა ახალ თაობას ეკუთვნის და

შეიძლება არ შეუძლიათ წარმოდგენა იმისა თუ რა ჩაიღინეს, ძველი თათბის რამოდენიმე ქართველიც ხელს უწყობს.

ქართველთა ამ ჯგუფით ასეთ საქციელს მეორე მხარეც აქვს, რაც ტიპიური უპრინციპობის მაჩვენებელია და საღ ლოლიკური მოსაზრებისათვის გაუგონარია. აი თვით მკითხველი დარწმუნდეს: 1952 წ. 4 ნოემბერს მოხდა ეროვნული საბჭოს მორიგი ყრილობა პარიზში, რომელსაც დაესწრო მიუხედავად ხსენებული კავშირის ორი წარმომადგენელიც ბ. გ. ვრიგოლ ავალიანი და კარლო ინაარიძე. მათ მონაწილეობა მიიღეს ყრილობის მუშაობაში, გაიზარეს სავსებით ის ხაზი, რომელსაც ადგია ეროვნული საბჭო და მისი აღმასრულებელი ორგანო, ყრილობაზე განაცხადეს, რომ ვერმანის ქართველობის 80 პროცენტი მათი მომხრეა და ხელაღებით მხარს უჭერს როგორც ეროვნულ საბჭოს, ისე ყოფილ ეროვნულ მთავრობას. მათივე მოთხოვნით ახალი თათბის ერთი ქართველი გ. წერეთელი არჩეულ იქნა აღმასრულებელ კომიტეტში. მოითხოვეს ერთი დელეგატი—კარლო ინაარიძეს პარიზში დარჩენა და მისთვის სათანადო მატერიალური საშუალების გამოწახვა. ეს მოთხოვნისაც დაკმაყოფილებული იქნა.

ყრილობა გათავდა, მეორე დელეგატი დაბრუნდა მიუხედავად და გადის სულ ცოტა ხანი ყრილობის შემდეგ და იგივე კავშირი ბ. გ. ვეფხვამეს თავმჯდომარეობით სწერს განცხადებას აღმასრულებელ კომიტეტს, უარს ამბობს მონაწილეობაზე, ლანძღავს კომიტეტის ხელმძღვანელთა და საერთოთ რუსებს თან ყოველგვარ თანამშრომლობას მონაწილურ საქმეთა ცხადებს, ეროვნულ დროშის ძირს დაწევას უწოდებს. ასეთ გამცხადების ასლი ეგზავნება „ეროვნულ ცენტრის“ თავმჯდომარეს ბ. რ. გაბაშვილს ალბათ იმის დასამტკიცებლათ, რომ ესლა „დემოკრატიული კავშირი“ მათი პოზიციაზე დგება რუსებთან თანამშრომლობის საკითხში. მხოლოდ, ეს ვარემოება მათ ამავე დროს ხელს არ უშლის, რომ ბ. მელოგუნოვთან განცხადება შეიტანონ, რათა ეს ჯგუფი მიღებულ იქნას საკოორდინაციო ცენტრში. როგორც მოგონთ ბატონებო ასეთი უპრინციპობა! მაგრამ ეს ჯგუფი კიდევ შორს მიდის. უახლოვდება ამავე დროს რუსულ გავით „კავკას“ ბ. კანტემიძის რედაქტორობით, რომელიც გადაჭრით წინააღმდეგია რუსებთან თანამშრომლობისა, იქ წერილებს ათაულებს, ქართული სექციის ხელმძღვანელად ხდებ



ბა, მაშასადამე პოლიტიკური პასუხისმგებლობას იღებს გაზეთის პოლიტიკურ ხაზისა, მაგრამ ამ-
ავე დროს ცდილობს დასაშვებ თუ დაუშვებელ
საშუალებებით, უფრო კი რუსების დახმარებით
ამავე საკოორდინაციო ცენტრში მოიკალათოს.

ამ ჯგუფის საქციელს შესაძენ მხარეც აქვს. ეს
კი უკვე კურორტულია. ნოე ყორღანისა პანაშ-
ვიდის მოწყობაში სხვა წრეს გააღმასებითი ედა-
ვებოდა თუ ვის ეკუთვნის უფლება ამ საქმეში
თაოსნობისა. როგორც იქნა მორიგება მოხდა
და მართლაც კარგათი მოეწყო. ამ ჯგუფმაც
მხურვალე მონაწილეობა მიიღო. ყველა კმაყო-
ფილი დარჩა, რომ მიუხედავად ქართველობამ
ერთსულოვნება გამოიჩინა და თავის გარდაც-
ვლილს პრეზიდენტს დიდი პატივი სცა და თ-
ვისი ეროვნული სიმწიფე უჩვენა უცხოელთაც.
მხოლოდ ვაგვიდა რამოდენიმე ხანი და იგივე
ჯგუფი ქართულ ეროვნულ მთავრობას ლანძ-
ღავს და ლაფში სვრის, როგორც მათ რუსულ
განცხადებაშია მარგალიტებივით გაბნეული. კე-
რძო ლაპარაკში ხომ რას არ ვაიგონებს ადამი-
ანი! მაგრამ დახეთ ფერის ცვალებას! კვირას,
21 ივნისს საზოგადო კრების შემდეგ გაიმართა
ნადიმი ამავე ჯგუფის თაოსნობით; აქ კი იგი-
ვე ჯგუფი მთავრობის სადღეგრძელოს სვამს,
თითქოს არაფერი მომხდარიყოს და არც წი-
თლდება. მახლას!

გამიგია ორი სკამზე ჯდომა, თუმცა ეს უხერ-
ხულია. მაგრამ ერთდამავე დროს მრავალ სკა-
მზე ჯდომა ყოველად შეუძლებელია და ამ ჯგუ-
ფმა ეს უნდა იცოდეს.

ვაწვდი რა ქართველ საზოგადოებას მხოლოდ
პოტალო ფაქტებს, და ისიც სულ მოკლეად, ხსენ-
ებულნი ჯგუფის დაუშვებელი საქციელისა, იმ-
ედს გამოვთქვამ, რომ პირველი ყოველისა თვით
ახალი თაობა, სადაც არ უნდა იყოს ის, ხმას
ამოიღებს და მოუწოდებს თავის ამხანაგებს,
პოლიტიკური ხაზის გამოსწორებისაკენ, დარღ-
ვეული ეროვნული დისციპლინის აღსადგენად.

დ. საღირაშვილი.

23 ივნისი 1953 წ.
მიუნხენი.

მიუნხენის რწმუნისა

მიუნხენში მყოფ ქართველთა ერთმა ნაწილ-
მა, ანუ წლის 9 ივნისს, თავის კრებაზე მოიხმი-
ნა მიუნხენში არსებულ ი. წ. „დემოკრატი-
ული კავშირის“ მეთაურების მიერ საკოორდინა-
ციო ცენტრის თავმჯდომარის ბ. მელეგუნოვის

სახელზე შეტანილი განცხადება, რომელსაც
ხელს აწერენ: ბ. ბ. გ. ვეფხვაძე, გ. ავალიანი,
რ. ფაროზი, ი. ანდრონიკაშვილი, ა. მოსიძე და
მალაყელიძე, და ახრთა გაცელო-გამოცელოს
შემდეგ მიიღო შემდეგი დადგენილება:

აღნიშნული განცხადება შეტანილია პასუხის
მოსათხოვით გასულ წელს აღძრულ შუამდგო-
მლობაზე მათი მიღების შესახებ საკოორდინა-
ციო ცენტრში. ამ შემთხვევით სარგებლობენ
მისი ავტორები და უცხოელების წინაშე მთელ
რიგ დაუსაბუთებელ და ყალბ ბრალდებებს
უყენებენ საკოორდინაციო ცენტრში შემავალ
ქართულ ეროვნულ საბჭოს და მის ირმუნებუ-
ლებს. სრულიათ უსაფუძვლოდ გაუგონარ ბრა-
ლდებებს უყენებენ აგრეთვე უცხოეთში გადმო-
ხვეწილ საქართველოს მთავრობას, თითქოს მას
ხკლი აეღოს ჩვენი ქვეყნის დამპყრობელთა წი-
ნააღმდეგ ბრძოლაზე, ე. ი. საქართველოს და-
მოუკიდებლობაზე, რითაც შეგნებულათ უდი-
დესი ზიანი მოაქვთ საქართველოს დამოუკიდ-
ებლობის იდეისთვის.

ამ ყალბ ბრალდებებს აწვდიან უცხო ერთა
პოლიტიკური წრეებს და პირველ რიგში, მათ
შორის, ისეთებს, რომელნიც არა დადებითად
არიან განწყობილნი დაზარალებულ ერთა უფლებე-
ბის საკითხისადმი. აი ამ უკანასკნელთაგან მო-
ელის ბ. ვეფხვაძე და მისი მეგობრები საკოორ-
დინაციო ცენტრში მიღებაზე დახმარებას და ამ
მიზნით მათთან მოლაპარაკებას აწარმოებენ.

ჩვენს იმიგრაციას ახსოვს ბევრი არა სასურ-
ველი და უპასუხისმგებელი გამოსვლები და
ცილისწამებანი საზოგადოებრივ ორგანიზაციე-
ბის თუ მოღვაწეების მიმართ, მაგრამ ამგვარი
ხასიათისა არასოდეს...

იღებს რა ყველა ამას მხედველობაში, კრება
ატყავდეს:

1. ზემო აღნიშნული ჯგუფის საქციელი, რო-
გორც თავის ფორმით, ისე შინაარსით წარმოა-
დგენს მორალურად სრულიად შეუწყნარებელ
დარღვევას ეროვნულ დისციპლინის ელემენტარ-
ულ მოთხოვნებზე, რაც სასტიკათ უნდა
იყოს დაგმობილი.

2. კრება განსაკუთრებით ხაზს უსვამს იმ გა-
რემობას, რომ განსაკუთრებით უცხო ერთა
წინაშე ცდა მთავრობის სახელის შებლაღვისა,
რომელიც საქართველოს დამოუკიდებლობის
სიმბოლოს მატარებელია, პირდაპირ ეროვნულ
დანაშაულათ უნდა ჩათვალოს ყოველი ქართ-
ველისათვის.



ქართული ახალი თაობის დემოკრატიული ორგანიზაციის განცხადება

ჩვენს თვალწინ მსოფლიო მოვლენები დიდი სისწრაფით ვითარდება. სტალინის სიკვდილით გამოწვეულმა ამბებმა ყოველგვარი მოლოდინს გადააჭარბა და სულ რაღაც სამი-ოთხი თვის შემდეგ მის „მემკვიდრეთა“ შორის ატყეხილი სამკედრო-სასიკოცხლო ბრძოლა პირველობისათვის თავის კულიმინაციურ წერტილს აღწევს. საბჭოთა სახელმწიფო მანქანამ უკვე ნაწილობრივ დაპყროვა კონტროლი მისი უზარმაზარი იმპერიის პერიფერიებში.

გაფიცვები და აჯანყებები ჩეხოსლოვაკიაში, ენგერიაში, პოლონეთში და ბოლოს მძლავრი სახალხო ამხედრება აღმოსავლეთ გერმანიაში პრელიუდიაა რკინის ფარგლებში მომწყვდეულ და მუდმივ ტერორში მყოფ ხალხთა საერთო ამხედრებისა, რომელიც მდინარე მოსკოვში გადაუტახებს მეოცე საუკუნის ბოლშევიკურ სიბინძურეს.

დღეს მოქმედების ინიციატივა დასავლეთის დემოკრატიის ხელშია გადასული. მის მოქმედებაზეა დამოკიდებული კაცობრიობის მომავალი. თუ დასავლეთის დემოკრატია გულ-ხელ დაკრეფილ მსაყურებლად დარჩება, საწამ კრემლის ვირთაგვესა ერთმანეთს სჭამენ, მაშინ ახალი სტალინი გამომჩნდება კრემლის ჰორიზონტზე, სისხლში ჩაახრჩობს შინაგან წინააღმდეგობას და შემდეგ რისხვით თავისუფალ მსოფლიოს მოუბრუნდება. ხოლო თუ პირიქით, დასავლეთის დემოკრატია განაგრძობს შეურიგებელ ცივი ომის ტაქტიკას, თუ იგი დაეხმარება და გამხმნეებს შინაგან მებრძოლ გამანთავისუფლებელ ძალებს, მაშინ საბჭოთა მოშლილი მანქანა ველურ გაუძლებს შინაგან და გარეგან წინევას და იგი უზარმაზარ ხუბულსაგვით დაიგრეცა, რაც გზას ივანუსის ახალ ქრას: ხალხთა მშვიდობიანი თანაცხოვრებისას, პიროვნებისა და ქრთა თავისუფლებისას და ბედნიერებისას.

ან ვიგანტურნი მრძოლის ჯაჭვში ქართულ პოლიტიკურ ემიგრაციას თავისი პატარა, მაგ-

რამ საპატიო ადგილი უკავია და ჩვენზეა დამოკიდებული თუ ღირსი აღმოჩნდება ჩვენი ხალხის და ჩვენი ქვეყნის.

დღეს როგორც არასოდეს გვესაჭიროება განთავისუფლდეთ ვიწრო პარტიულ თუ პირად ამბიციებიდან და ეროვნულ შეგნებამდე აღვადგინოთ.

ეროვნული დისციპლინის გარეშე არ არსებობს ერი მთელი თავისი ღირსებით. ჩვენ ერთნი და მთლიანნი უნდა ვადავებეთ საბჭოთა ტირანიის წინააღმდეგ მებრძოლ საერთაშორისო დემოკრატიას. არა შინაური კინკლაობას, არამედ ჩვენი ქვეყნის განთავისუფლებას უნდა შევსწიროთ მთელი ჩვენი ენერჯია, ნიჭი და უხარი.

სამწუხაროდ ქართველ დევნილებში აღმოჩნდნენ პირადი ამბიციებით შეპყრობილი ადამიანები, რომლებიც არი მოერიდენ შინაური უთანხმოების გაჩენდ გატანას და ყოველად უმსგავსო ცილისწამებებით და დაბრუნებებით ჩვენი ეროვნული მთავრობის და ეროვნული საბჭოს მიმართ, წყალს ასხამენ ზოგიერთი, იმპერიალისტურ შეხედულებებიდან ჯერ კიდევ ვერ განთავისუფლებულ, რუსულ ემიგრანტულ წრეების წისქვილზე.

უცხო წრეების თვალში ჩვენი ეროვნული მთავრობის ავტორიტეტის დაცემა, მისდამი უმართებულო ცილისწამებებით არ შეიძლება შეგნებულ ან შეუგნებელ ლალატს არ წარმოადგენდეს ჩვენი უწმინდესი ეროვნული საქმისადმი. ის ქმნის არა ჩვეულებრივ და მეტად სამწუხარო პროცედენტს, რომლიდანაც ამთავითვე უნდა ვავიმიჯნოთ თუ გვიხდა შეუბღალავი და ჩრეს ქართველ დევნილთა კოლექტიური ღირსება.

23456 345

ქართული ახალი თაობის დემოკრატიული ორგანიზაცია კმაყოფილებით აღნიშნავს ქართული ეროვნული მთავრობის და ეროვნული საბჭოს მიერ უკანასკნელ ხანებში ჩატარებულ მუშაობას: ეროვნული სუვერენობისა და ღირსების დაცვის ცდა შექმნას საბჭოთა კავშირის დამოუბუტულ ხალხების მებრძოლ ძალთა კოორდინაცია საბჭოთა რეჟიმის წინააღმდეგ საბრძოლველად. ასე გაერთიანებული ძალებით შესვლა დასავლეთის მებრძოლი ანტიკომუნისტური დემოკრატიის აქციაში არის ის გზა, რომელსაც ჩვენც ვიზიარებთ და ჩვენად ვთვლით. ამიტომ,

3. ანტიომ კრება მოუწოდებს ქართულ ემიგრაციის საზოგადოებრივ აზრს მორალურად და პოლიტიკურად გაიმჯნოს ასეთ უპასუხისმგებლო საქციელის ჩამდინთვან, რათა მომავალში ყველასათვის ერთნელ და სამუდამოდ აღკვეთილ იქნას შესაძლებლობა ამგვარი აქტის განმეორებისა.

ახალი თაობის დემოკრატიული ორგანიზაცია ადგენს შევიდეს ეროვნულ საბჭოში მის ორგანიზულ წევრად და ხელი შეუწყოს ამ უკანასკნელის მიერ აღებული ხაზის წარმატებით განხორციელებას.

ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ აზრთა სხვა და სხვაობა რომელიც შეიძლება წარმოიქმნას ჩვენსა და ეროვნულ საბჭოში წარმოდგენილ სხვა ეროვნულ ორგანიზაციებს შორის, ამოწურული იქნება შიგნითვე, ხოლო საერთაშორისო ასპარეზზე ჩვენ შევსძლებთ ერთი — საერთო ხაზით გამოსვლას.

ერთიერთ პატივისცემა, ნდობა და პირადი ინტერესების დაქვემდებარება სართო — ერთგულ ინტერესებზე იქნება, ვიმედოვნებთ, ის ბაზა რომელზედაც იიგება ჩვენი მომავალი თანამშრომლობა და თანამშრომლობა.

ყველა სასიცოცხლო ეროვნული ძალებს მთლიანობა ის საძირკველია, რომელზედაც ჩვენ გვსურს ეროვნულ — განმათავისუფლებელი მოძრაობა ავაშენოთ. ამის მისაღწევად ჩვენ არავითარ საშუალებას არ დავხოვავთ და დარწმუნებული ვართ, რომ ჩვენი ბრძოლები, როგორც საერთო ფრონტის შესაქმნელად, ისე ჩვენი ქვეყნის მისთვის უცხო ბოლშევიკური ტირანიისაგან გასანთავისუფლად გამარჯვებით დავიკრივინება.

ქართული ახალი თაობის დემოკრატიული ორგანიზაციის აღმასრულებელი ბიუროს თავმჯდომარე: **ზ. სტურუა.**
მდივანი: **ნ. თაყაიშვილი.**

ნოე ჟორდანის ექვსი თვისთავი

შაბათს, 11 ივლისს, საღამოს 6 საათზე ნოე ჟორდანის გარდაცვალების ექვსი თვის თავზე, ვანის სასაფლაოზე, თავი მოიყარა მისმა მეგობრებმა, ამხანაგებმა და პატივისცემელებმა.

საფლავი მორთული იყო ცოცხალი ყვავილებით, შუაში ჩადგმული იყო მოზრდილი მარმალის მშვენები დაფა, რომლის შუაგულში ჩასმულია ნოეს საკმაო დიდი სურათი, ირგვლივ ეროვნული დროშებით. დაფაზე მარცხენა მხარეზე, მშვენები ქართული ასოებით, ამოჭრილია: საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის პრეზიდენტი ნოე ჟორდანია, მარჯვენით იგივე წარწერა ფრანგულ ენაზე, ქვეშ წლები დაბადება — გარდაცვალებისა.

ეს დაფა ვააკეთებინა თავის სურვილით და თავის საკუთარი ხარჯით ბ-ნმა დავ. ხელაძემ.

შეხვედრა გახსნა ეროვ. მთავრობის წევრმა ბ-ნმა კ. კანდელაკმა, რომელმაც მოუწოდა დამსწრეთა იყვენ ერთგულნი განკვეთბულის ანდერძის. განაგრძონ ბრძოლა სამშობლოს დამოუკიდებლობის აღსადგენათ. შემდეგ მშვენიერი სიტყვა წარმოთქვა პარიზის სოც.-დემ. კომიტეტის თავმჯდომარე — ბაგ. წულაძემ.

დაბოლოს ლ. ფალავამ ოჯახის და დამაწრეთა სახელით მადლობა გადაუხადა ბ. დავ. ხელაძეს ნოე ჟორდანის ხსოვნის ასეთი ძვირფასი მარმალის დაფით აღნიშვნისათვის.

მოსაგონარათ შეხვედრისა, გადაღებულ იქნა რამოდენიმე სურათი, რის შემდეგ დამსწრენი მიიპატიჟა განსვენებულის მეთულე ინა ჟორდანამ თავის ბინაზე, სადაც ისინი დიდ ხანს მუსაიფობდენ ნოეს სამუშაო ოთახში, მისი პიროვნების და დამსახურების შესახებ.

მოჭადრაკეთა კლუბი „რუსთაველი“

1952 წ. 28 ნოემბერს, პარიზში, დაარსდა ქართველ-ფრანგ მოჭადრაკეთა კლუბი „რუსთაველი“. წევრთა რაოდენობა — 40 წევრი; კლუბს მებთვე ადგილი უჭირავს პარიზის კლუბთა შორის. კლუბის დაარსებას დიდი თანაგრძნობით შეხვდა საფრანგეთის მოჭადრაკეთა ფედერაცია ამ რამოდენიმე დღის წინეთი მოეწყო ამხანაგური შეხვედრა მებთვე კლუბთან. შეხვედრა დასრულდა „რუსთაველი“-ს გამარჯვებით (61/2 11/2). მომავალ საქადრაკო სეზონში კლუბი მონაწილეობას მიიღებს საერთო შეჯიბრებაში საფრანგეთის თასის მოსაგებათ.

კლუბის თავმჯდომარეთ არჩეულია ბ-ნი მიშა სტურუა.

სათამაშო შეხვედრა სწარმოებს პარასკევობით, საღამოს 8 საათიდან.

მისამართი: „Café de la Convention. მეტრო Convention.

კლუბის საპატიო თავმჯდომარეთ არჩეულ იქნა ბ-ნი ევ. გეგეჭკორი.

ლ. ბაქრაძის გარდაცვალება

მძიმე ავადყოფობის შემდეგ გარდაიცვალა ცნობილი საზოგადო მოღვაწე და ლიტერატურის კრიტიკოსი ლ. ბაქრაძე. ნეკროლოგი სურათით მოთავსებული იქნება შემდეგ ნომერში.